საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რაგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტოის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 12 აპრილი. 2017 წ. №77 (8214), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

როდის მოელება ბოლო ფოთის აწიოკება-დაწიოკებას?

საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბ-ნ გიორგი კვირიკაშვილს

③



მოგვხედე, მთავრობავ!

ბიბილოვის იდეა „ორი ოსეთის“ გაერთიანების შესახებ საკმაოდ საეჭვო ჩანს

⑧

ფსევდოგადარჩევა

სეპარატისტები ბიუჯეტს ანიავებენ, თუმცა ცუდი მაგალითი გადამდებია

როცა დუმილი დანაშაულია

გურამ გოგიაშვილი:

საქართველო სუვერენული სახელმწიფოა თუ... „ტილიანი“?!

②

ქვეყნის წინაშე დანაშაული აშკარაა, სიტყვა ქართველ ხალხზეა!

⑤

თბილისი – ჯანმრთელი, მწვანე, საცხოვრებლად მოსახერხებელი,

— ამის შესახებ თბილისის მერმა დავით ნარმანიამ საკრებულოში 2017 წლის ანგარიშის პრეზენტაციაზე განაცხადა. თბილისის მერის თქმით, გენგეგმაზე საერთაშორისო კონსორციუმი და დარგის 200-მდე სპეციალისტი მუშაობს.

„გეგმა ისეთ ძირეულ პრინციპებს ითვალისწინებს, როგორიცაა: თბილისი — ჯანმრთელი, მწვანე, ტოლერანტული, საცხოვრებლად მოსახერხებელი, კომპაქტური, რესურსდამზოგავი, ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული უნიკალურობის შენარჩუნებაზე ორიენტირებული, „ჭკვიანი ქალაქი“ (Smart City). აქვე გეტყვით, რომ გენგეგმაზე მუშაობის დასრულებამდე, ჩემი ინიციატივით, „თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებში“ განხორციელდა ცვლილებები, რის შედეგადაც ქალაქის ცენტრალურ ნაწილში საცხოვრებელ სახლებზე განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გაზრდაზე შეზღუდვა დაწესდა“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

გარდა ამისა, თბილისის მერის თქმით, დასრულდა და დედაქალაქის მერიას ჩაბარდა თბილისის ზღვის განვითარების გენერალური გეგმა.

„დეტალური ანალიზის საფუძველზე, კვლევამ შემოგვთავაზა თბილისის ზღვის შემოგარენის ძირითადად სარეკრეაციო დანიშნულებით განვითარება და ტერიტორიის 12 ფუნქციურ ზონად დაყოფა. კვლევაში მოცემულია ასევე 40 ბიზნესინიციატივა, რომელთა განხორციელება პირველადი ფინანსური გათვლებით, მიზანშეწონილია ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე“, —განაცხადა დავით ნარმანიამ.

აღსანიშნავია, რომ 2016 წელს თბილისი გახდა „100 მედეგი ქალაქის“ წევრი.

* * *

თბილისის მერმა **დეპუტატებს თბილისში გამწვანების კუთხით ჩატარებული ღონისძიებები გააცნო. როგორც დავით ნარმანიამ აღნიშნა, ჯანსაღი და კომფორტული საცხოვრებელი გარემოს შექმნისა და არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, 2016 წელს დედაქალაქის მასშტაბით 180 000 ხე-მცენარე დაირგო, თბილისსა და მის შემოგარენში კი, პირველად დაიწყო ნუშისა და ზეთისხილის ბაღების გაშენება.**

თბილისის მერის თქმით, დიდი რაოდენობით ხე-მცენარის დარგვა გამგეობების მიერ შერჩეულ ტერიტორიებზე, მოსახლეობის თხოვნის გათვალისწინებით მოხდა.

„გამწვანება ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა, რომელიც დედაქალაქის მთავრობისთვის უმნიშვნელოვანესია. 2014 წლიდან დღემდე, თბილისსა და მის შემოგარენში სულ 650 000-მდე ხე-მცენარეა დარგული. გარდა ამისა, გასულ წელს დედაქალაქში 30 ახალი სკვერი მოეწყო, ხოლო რეაბილიტაცია 249 სკვერს ჩაუტარდა. მათ შორისაა, იაპონური ბაღი — ბოტანიკურ ბაღში, რომელიც იაპონური ხელოვნების თვალსაჩინო ნიმუში გახლავთ. გავამწვანეთ და კეთილმოვაწყვეთ თამარაშვილის ქუჩის გზაგამყოფი ხეივანი, ასევე, ვერის პარკი და სხვა სკვერები. მნიშვნელოვანი გამწვანებითი ღონისძიებები ჩატარდა ე.წ. „ახალ გზაზე“, სადაც მიუხედავად ათასგვარი წინასწარი ვერსიისა, ნერგების უმრავლესობამ გაიხარა. ლისის ტბის ირგვლივ საფეხმავლო ბილიკი გავაკეთეთ,“ — განაცხადა დავით ნარმანიამ.

„მნიშვნელოვანია, რომ 2014 წლიდან დღემდე, ქალაქში პირველად მოეწყო ინერტული (სამშენებლო) ნარჩენების 2 ნაგავსაყრელი და დაიწყო თბილისის საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელი პოლიგონის მშენებლობა, რომელიც ეტაპობრივად განხორციელდება,“ —განაცხადა დავით ნარმანიამ...

* * *

ანგარიშის წარდგენისას **ყურადღება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტზე, ჯანდაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე გამახვილდა.**

როგორც აღინიშნა, თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურმა 2016 წელს 31 პროგრამა განახორციელა, რომლის ბიუჯეტი 70 395 101 ლარი იყო, ბიუჯეტის შესრულების საკასო მაჩვენებელმა კი 70 193 163 ლარი (99.7%) შეადგინა.

თბილისის მერის დავით ნარმანიას განცხადებით, 2016 წელს ჯანდაცვის მიმართულებით 9 პროგრამა განხორციელდა, მათ შორის 2 ახალი პროგრამის განხორციელება დაიწყო. პირველი „ძუძუს კიბოს ადრეული სტადიის მკურნალობის დაფინანსების პროგრამა“ და მეორე — „ორთოპედიულ დაავადებათა სკრინინგისა და აღდგენითი თერაპიის“ საპილოტე პროგრამა.

თბილისის მერის განცხადებით, ჯანდაცვისა და სოციალური საკითხების მიმართულებით მისი ყველა წინასაარჩევნო დაპირება შესრულებულია. ანგარიშის პრეზენტაციისას, თბილისის მერმა დამსწრე საზოგადოებას იმ სოციალური პროგრამების ვრცელი ჩამონათვალი წარუდგინა, რომელსაც თბილისის მერია 2016 წელს უწევდა ადმინისტრირებას.

* * *

როგორც მოსალოდნელი იყო, საკრებულოს ოპოზიციონერმა დეპუტატებმა მრავალი პროვოკაციული კითხვა დასვეს, ბევრი იჩხუბეს, იბობოძრეს, მაგრამ... მთლად დაუკრეფავში გადასვლა ვერ გაბედეს!

ისტორიული ღირებულებების შემნარჩუნებელი ქალაქი იქნება!

საქართველო სუვერენული სახელმწიფოა თუ... „ტილიანი“?!



საქართველოს თითქმის ყველა ჯურრის დამპყრობლის უღელი აქვს ნაწვნევი, ჩვენი ქვეყნის ისტორიულად გადახეხილი ქედი ამის უტყუარი დასტურია. ასე საუკუნეთა მანძილზე მოვაურმულებდით დროს სხვათა და სხვათაგან უღელდადგმულნი და არცთუ იშვიათად კარგა გვარიანად სახრეგადაჭერილნი, მაგრამ მაინც გულდაჯერებულნი, რომ აწმყო თუ არა გვწყალობდა, სამაგიეროდ მომავალი იყო ჩვენი...

ვინ იცის, ეს მრავალგზის ნანატრი მომავალი რამდენჯერ ქცეულა კიდევ უფრო მწარე აწმყოდ, თუმცა მომავალი რომ ჩვენი იქნებოდა, ამის რწმენა არცროდის დაგვიკარგავს... და დიახაც, ამ ძვალრბილში გამჯდარმა რწმენამ რამდენჯერმე მოგვაგდებინა კირთების უღელი და გადაგვამტვრევინა ჩვენს უმოწყალოდ ნაგვემ სხეულზე კიდევ ერთხელ გადასაშხუებლად მოქნეული იფნის სახრე.

ერთ-ერთი ასეთი, უფრო სწორად, ორი ასეთი უღლის მოგდებინებისა და მტრისგან გამეტებულად მონაქნევი სახრის გადატეხის დღეს ქართველობა ორჯერ მოგვასწრო მე-20 საუკუნემ.

პირველად, აშკარად ვერ ვივარგეთ და ჩვენს ჩვეულ პოლიტიკურ უთავბოლობას წავალეკინეთ თავი, მეორედ, ასე თუ ისე, აგერ უკვე 25 წელიწადია, რაც პოეტის ფრიად დამაფიქრებელ შედარებას რომ მივმართოთ, „ოქროს გალიაში“ აღმოვჩნდით, რომელ გალიასაც მიუხედავად იმისა, რომ ისევ ჩვენი უთავბოლობისა თუ ტრაკდაშვებულობისა გამო, კარგა გვარიანი ნაწილი ჩამოგლეჯილი აქვს, ჩვენი ძველთუძველესი ქართული ასო-ბგერებით აწერია: „თავისუფალი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული რესპუბლიკა!“ არადა, ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ, ნამდვილად ვერ დავიკვეხნით ვერც ჩვენს სრულ თავისუფლებას, ვერც ჩვენს დამოუკიდებლობას და ვერც კიდევ, მით უმეტეს, დემოკრატიულობას. სუვერენიტეტზე ლაპარაკი ხომ ზედმეტზე ზედმეტია, ცხადია, ლაპარაკია ჭეშმარიტ სუვერენიტეტზე. აი, თუნდაც ისეთზე, როგორი სუვერენიტეტითაც სარგებლობენ ჩვენი ამჟამინდელი მეგობარი-პარტნიორები, რომელთა უანგარო მხარდაჭერის იმედითაც თითქოს და საჩვენო პირი დაეტყო ჩვენს მომავალს, რომელიც ერთხელაც უნდა დაგვდგომოდა იმ საშინელი აწმყოს შემდეგ, საუკუნეთა მანძილზე რომ არ გვწყალობდა...

კი, ბატონო, ახლა თითქოს სწორედ ამ მწყალობელ აწმყოდ ქცეულ მომავალში გვიხდება ცხოვრება, მაგრამ სინამდვილეში რაღაც მთლად ასე არ გამოდის... სიტყვიერი მხარდაჭერა ძალიან კარგია, საქართველო ერთიანი უნდა იყოსო, ჩვენ ვგმობთ რუსეთის დამპყრობლურ პოლიტიკასო, ესეც ძალიან კარგია, თქვენი მტერი — ჩვენი მტერი და ნატოს მტერიაო, ესეც ძალიან, ძალიან კარგია, ოღონდ იმ ერთი ანდაზისა არ იყოს — ფიცი გვწამს და ბოლო კი გვაკვირვებს.

გვაკვირვებს აი, თუნდაც ის ამბავი, რომ ამ ჩვენმა კეთილისმყოფელმა მეგობრებმა, შეხედვითაც კი არ შეგვახედეს ნატოში, არამცთუ კარი გაეღოთ და მობრძანდითო, ეთქვათ. ბევრი მედასავლეთე ქართველისთვის ისიც გაუგებარია, დასავლეთი და უწინარესად ამერიკის შეერთებული შტატები, თვით საქართველოს ფიცვერცხლნაჭამი მოყვასია თუ თავისი ქვეყნისა და ხალხის წინაშე დამნაშავე გამოპრეზიდენტებული სააკაშვილის დამცველი?! საქართველო ინტერპოლით ითხოვს როგორც ამ დამნაშავე, ისე ამისავე თანადამნაშავე ავაზაკთა გადმოცემას, მაგრამ ამაოდ... ბევრ დასავლეთისკენ და კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატებისკენ თვალის მჭერელ ქართველ მოქალაქეს ისიც ძალიან უკვირს, რის საფუძველზე გაამართლეს პარიზისა და ლონდონის სასამართლოებმა სააკაშვილის ბანდის ერთ-ერთი მთავარი წევრი — კეზერაშვილი, ანდა, რით დამტკიცდა დავით ახალაიას კარგი ბიჭობა და უდანაშაულობა საბერძნეთის სასამართლოში?!

ნუთუ „ოცნების“ ხელისუფლება ყოველივე ამას კეთილმეგობრულ დამოკიდებულებად აღიქვამს?! არადა, ამ ბნელ საქმეს მეგობრობის სუნი სულაც არ უდის, აშკარად ყარს.

ამჟამინდელი საქართველოს არასუვერენულობაზე ისიც ხმამაღლა მეტყველებს, თუ რაოდენ თავისუფალია დღეს ქართული მართლმსაჯულება.

როგორც ცნობილია, ახალი ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი წინასაარჩევნო დაპირება იყო სამართლიანობის აღდგენა, რაც „ოცნებამ“, აქაოდა, ოცნება ვარო, ისე გააჭიანურა და გააჯანჯლა, მართლაც საოცნებო გახადა... აი, თუნდაც „ნაციონალების“ ზეობის ჟამს ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშისთვის უშუალოდ სააკაშვილის მიერ ყაჩაღურად წართმეული „რუსთავი-2“-ის საქმე გავიხსენოთ.

ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, სააკაშვილის შავი ემისარი ნიკა გვარამია, რომელიც წლების მანძილზე უსინდისოდ უპირისპირდებოდა თვითონ სახელმწიფოს, ქართულმა მართლმსაჯულებამ დიდი დავიდარაბით, მაგრამ მაინც, შეაძვრინა იქ, სადაც უნდა შეეძვრინა.

ჯერ საქალაქო სასამართლომ, შემდეგ სააპელაციომ, ბოლოს, უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ საბოლოო განაჩენი გამოიტანა — „რუსთავი-2“ თავის კუთვნილ მფლობელს დაუბრუნა.

კი, ბატონო, საქართველოში სიმართლის დამდგენი უფრო მეტი ძალის მქონე ორგანო არ არსებობს, მაგრამ რად გინდათ?! საქართველოს მართლმსაჯულებას ვინ უყურებს, როცა სტრასბურგის სასამართლო არსებობს, რომელსაც თურმე საბოლოო სიტყვა ეკუთვნის ყველა ე.წ. „ტილიანი“ ქვეყნის წინააღმდეგ!

სტრასბურგის ელვისებურმა ჩარევამ უმაღლეს ქართულ მართლმსაჯულებაში ერთი ასეთი სავალალო დასკვნა ამომიტივტივა: კი, ქაღალდზე ნამდვილად ხარ სუვერენული სახელმწიფო, საქართველო, მაგრამ ამავე დროს, როგორც ჩანს, ჯერჯერობით „ტილიან“ ქვეყანას წარმოადგენ და ამიტომ შენი სამართალი სხვებმა უნდა გადასინჯონ...

ეტყობა, ის ჩვენი დამთრგუნველი კოჰაბიტაცია ჯერ ისევ გრძელდება. ეს კოჰაბიტაცია, მართალია, თითქოს უღელი აღარ არის, მაგრამ ჭაპანი ნამდვილად არის, რომლის წევაც, ალბათ, კიდევ კარგა ხანს მოგვიწევს...

გურამ გოგიაშვილი



გიორგი კვირიკაშვილი საერთაშორისო ექსპერტს მარგარეტ ნიკოლსონს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი საერთაშორისო ექსპერტს მარგარეტ ნიკოლსონს შეხვდა, რომელმაც საქართველოს 2014-2020 წლების ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნული სტრატეგიის განხორციელებასთან დაკავშირებით ანგარიში მოამზადა.

ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია იმ მნიშვნელოვან წარმატებაზე, რომელსაც ქვეყანამ დემოკრატიული რეფორმების, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით მიაღწია. პრემიერმა საერთაშორისო ექსპერტს მადლობა გადაუხადა მნიშვნელოვანი კვლევის მომზადებისთვის, რომელშიც ქვეყნის მიერ მიღწეული პროგრესი სათანადოდ არის აღიარებული და აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობა ადამიანის უფლებათა დაცვის, დემოკრატიული განვითარებისა და კანონის უზენაესობის მიმართულებით რეფორმებს განაგრძობს.

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის და სამთავრობო სამოქმედო გეგმის განხორციელება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა და ამაზე მიუთითებს განხორციელებული რეფორმებიც.

ახალი მოდელი გამორიცხავს საკონსტიტუციო უმრავლესობის ჩამოყალიბებას!

საქართველოს კონსტიტუციის პროექტში გვაქვს ფუნდამენტური ცვლილება, რომელიც ეხება საპარლამენტო არჩევნების შერეული სისტემიდან პროპორციულ სისტემაზე გადასვლას და, რომელსაც აქვს მყარი დასაბუთება. ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ საკონსტიტუციო კომისიის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა.

როგორც კობახიძემ აღნიშნა, შემოთავაზებული ვარიანტი არის საუკეთესო ბალანსი ორ ძირითად ინტერესს შორის, ეს არის პლურალიზმისა და სტაბილურობის ინტერესი.

„გვახსოვს, რომ წარსულში გარკვეული რისკები უკავშირდებოდა ერთი პარტიის ხელში საკონსტიტუციო უმრავლესობის არსებობას. ეს არის ფუნდამენტური ცვლილება, რომელიც გვაქვს პროექტში“, — აღნიშნა კობახიძემ.

ლევან იზორია: უწყებაში განხორციელებული რეორგანიზაცია-ოპტიმიზაცია მტკივნეული იყო

თავდაცვის მინისტრ ლევან იზორიას განცხადებით, უწყებაში განხორციელებულ რეორგანიზაცია-ოპტიმიზაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები იყო მტკივნეული, თუმცა თავდაცვის სისტემის რეფორმირებისკენ მიმართული.

„გარკვეული გადაწყვეტილებები შეიძლება იყო ჩვენთვისაც ძალიან მტკივნეული, ამის დასაბუთებას მე ბუნებრივია, დღევანდელი სხდომის ფარგლებში წარმოგიდგენთ, მაგრამ მთავარი, რაც ამის ლეგიტიმაციას და სიმყარეს გვაძლევდა, არის ის, რომ ყველა ნაბიჯი გადადგმული თავდაცვის სისტემის რეფორმირებისთვის მიმართული იყო ჩვენი თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისკენ, ჩვენი სამხედრო მზადყოფნის გაძლიერებისკენ,“ — განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

ლევან იზორიას თქმით, გეგმების 70% უკვე შესრულებულია, დარჩენილი უკავშირდება შესაბამისი აღჭურვილობის შეძენას, მეტ წვრთნებს და სტაბილური ინსტიტუციური განვითარების პირობების შექმნას. კომიტეტზე ლევან იზორიამ ისაუბრა საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლებაზე. კერძოდ კი, საუბარი შეეხო უახლესი საჰაერო თავდაცვითი სისტემების შეძენას ფრანგული მხარისგან. მომავალ კვირას თავდაცვის მინისტრი შეხვდება ფრანგ კოლეგას.

პრეზიდენტი რუსული ენის შესწავლას გვირჩევს

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი მიიჩნევს, რომ რუსული ენა არის საშუალება, რომლითაც რუსულ პროპაგანდისტულ მანქანას უნდა დავუპირისპირდეთ. შესაბამისად, მისი დავიწყება მიზანშეწონილი არ არის.

ნატო-საქართველოს სახალხო დიპლომატიის ფორუმის მეორე დღეს მთავარი თემა დეზინფორმაცია და ჰიბრიდულ ომში მედიის როლია. გუშინ შეხვედრის მონაწილეები სასტუმროში რედისონ ბლუ ივერიაში შეიკრებნენ. მათ საქართველოს პრეზიდენტმა სიტყვით მიმართა.

„არაფრისდიდებით არ უნდა ჩავხსნათ ეს საინფორმაციო იარაღი, რომელიც ჩვენ გვაქვს ხელში და ბევრად მეტად უნდა იყოს გამოყენებული ერთიანი მესიჯის მისატანად. თუ ჩვენ დავტოვებთ აფხაზებს, ოსებს და სხვა ეთნიკურ უმცირესობებს ერთი-ერთზე (კიდევ ერთხელ, არა ცუდ რუსულ პროპაგანდისტულ მანქანასთან, რომელიც კარგად და ეფექტურად მუშაობს), მაშინ არ ვიცი, რის ხარჯზე ვაპირებთ ამ ადამიანების ინტეგრაციას. ასე რომ, ჩემი აზრით, რუსული ენა ნამდვილად არ უნდა იქნას დავიწყებული საქართველოში, არამედ აქტიურად უნდა იყოს გამოყენებული“, — განაცხადა პრეზიდენტმა. როგორც გიორგი მარგველაშვილმა აღნიშნა, **„როდესაც შენ გაგაჩნია ძალა და სიმართლე, შენ არ უნდა ჩახსნა ამ სიმართლის გავრცელების საშუალებები“.**

საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატს ფოთიდან, ბ-ნ ირაკლი ხახუბიას

საქართველოს პარლამენტის დამოუკიდებელ დეპუტატს, ქ-ნ სალომე ზურაბიშვილს

ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერს, ბ-ნ ირაკლი კაკულიას

როდის მოეღება ბოლო ფოთის ანიოკება-დანიოკებას?

ბატონო გიორგი!

ფოთელთა საყოველთაო გასაჭირზე მოგახსენებთ, რის გამოც უკვე მერამდენედ გვიხდება თქვენი შეწუხება, მაგრამ რა ვქნათ, თუ თქვენს გარეშე არცერთი საკითხი არ წყდება.

საზოგადოებრივი აზრის დარბაზის მიერ თქვენ სახელზე გამოგზავნილ ბოლო წერილში (2016 წლის 16 სექტემბერი, №41) ვითხოვდით ნავსადგურის გასხვისებასთან დაკავშირებით ხელშეკრულების გაცნობას, წინააღმდეგ შემთხვევაში ვაპირებდით ნავსადგურში მისასვლელი სატრანსპორტო გზების გადაკეტვას და ხალხმრავალი აქციის მოწყობას. ამ წერილზე არც თქვენგან და არც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან პასუხი დღემდე არ მიგვიღია. არ გვინდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი თხოვნაც და მოთხოვნაც არა მარტო რეაგირების გარეშე დატოვეთ, არამედ ყურიც არ გვათხოვეთ, რომ შეგესმინათ ხალხის კანონიერი მოთხოვნა.

არჩევნების წინ „ქვეყანა ჩაერია“ და ჩვენი განზრახვა არ შევასრულეთ. მაგრამ ის, რაც ჩვენ გონივრულად დავთმეთ, ბუნებამ და მაღალმა ღმერთმა არ გვაპატია და ნავსადგური რამდენიმე დღით მაინც გაჩერდა. ქვეყანამ და ხალხმა მაინც თვალნათლივ დაინახა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ნავსადგურის ამჟამინდელი ხელმძღვანელების უსუსურობა, არაკომპეტენტურობა და უთავობა.

თქვენც ხომ არ დაიჯერეთ, ბატონო პრემიერო, გავრცელებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ „ორდღიანმა 6-ბალიანმა შტორმმა და ადიდებულმა რიონმა იმდენი ნაშალი, ქვა-ღორღი და სილა შემოზიდა, რომ ყველა მისასვლელი გზა გადაკეტა, გემები ვერ შევიდა ფოთის ნავსადგურში და შეიქმნა ფორსმაჟორული სიტუაცია, რის გამოც სახელმწიფომაც და კომპანიამაც დიდი ზარალი ნახეს.“

ერთი გაგვაგებინეთ ფოთელებს – ვის სჭირდება ასეთი იაფფასიანი ტყუილები და ვინ არიან ისინი, ვინც მილიონობით პატიოსან ადამიანს ნაცარს აყრის თვალებში. როდის იყო ან შტორმს ან რიონს საერთოდ ზღვაში ქვა-ღორღი და ნაშალი შემოჰქონდა და ამის გამო ისილებოდა ნავსადგურში შესასვლელი. თუ ამის მეტი არ იციან, საკითხავია, როგორ აჩერებთ თანამდებობაზე ამ ბედოვლათებს. ან რად ღირს ამის შემდეგ ნავსადგურის ხელმძღვანელობის რეპუტაცია?

სიმართლე კი, ბატონო პრემიერო, იმაშია, რომ ფოთის ტერმინალის ხელმძღვანელობა ვერ მართავს პროცესებს, ვერ წვდება საქმის არსში, არ ყოფნის ცოდნა და გამოცდილება. მათ თავიდან მოიშორეს ადგილობრივი გამოცდილი კადრები, გააუქმეს თითქმის ყველა დამხმარე სამსახური, ვინც განაგებდა და არეგულირებდა ნავსადგურის აკვატორიაში და მის გარეთ მიმდებარე ტერიტორიაზე სიღრმეებს.

უკვე დიდი ხანია, გაჩერებულია და არ მუშაობს გემი ,,ნიკო ნიკოლაძე“, რომელიც გამიზნულია სპეციალურად სიღრმეების დასარეგულირებლად. რამდენიმე წელია, არ გაწმენდილა ნავსადგურში გემების შემოსასვლელი არხი, რომელსაც ოდესიდან დაქირავებული გემი სისტემატურად აკეთებდა. დღეს ეს ყველაფერი მოშლილია ნავსადგურში. იქ ბევრი სხვა ცოდვაც აქვთ ჩადენილი: გაუარესდა დოკერების საყოფაცხოვრებო, შრომის და უშიშროების პირობები, არ აშენებულა ორი ახალი ტერმინალი, 2000 კაცის მატების ნაცვლად 700 – 800 კაცით შემცირდა პირადი შემადგენლობა.

ეკონომიკის სამინისტრო, იმის ნაცვლად, რომ მართოს პროცესები , გააკონტროლოს როგორ სრულდება ხელშეკრულება, დაიცვას სახელმწიფოს ინტერესები, ის კვლავ განაგრძობს ტერმინალის ხელმძღვანელობასთან „კუნტრუშს“, ჩვენი შეხედულებით, მეტად საეჭვო ურთიერთობას.

თავის დროზე დიდი ბოროტება და დანაშაული იქნა ჩადენილი. ათასობით ჰექტარი ზღვის პირი გასაჩუქრდა! ტერმინალს გადაეცა ქალაქის ცენტრალური ქუჩის (აღმაშენებლის პროსპექტი) მონაკვეთი, რომელიც სახელმწიფო კანონით დღემდე სატრანსპორტო ზონად ითვლება. გაუქმებულია საზღვაო ვაგზლის შენობა და ყველა მისასვლელი გზა. მოისპო და განადგურდა ზღვისპირა ბულვარი, რომელიც ათასობით ფოთელის და ქალაქის სტუმრის დასასვენებელი კერა, ქალაქის სახე და სავიზიტო ბარათი იყო. ქალაქს დაეკარგა ელფერი და ძალით წაართვეს სტატუსი. იმასაც ამბობენ, ეს ყველაფერი ანაკლიის ნავსადგურის გამო განადგურდაო. შეიძლება, არ იყოს ეს მთლად მართალი, მაგრამ ფოთი რომ მარტო ღვთისა და ზეცის ამარაა დარჩენილი, ეს სრული სიმართლე და ჭეშმარიტებაა.

რაც რიონს ახალი ყელი გაუჭრეს და ყულევში გადაადგეს (1936 წელი), იმის მერე ირეცხება ქალაქის ზღვის სანაპირო ზოლი – ჩვენი თვალსაწიერით 2-3 კილომეტრით შემოიწია ზღვამ. ამიტომაც ამბობს ხალხი: ბორის პაიჭაძის სახლი ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინათ ჩაიქცა ზღვაშიო“.

დროებითმა სამაშველო სამუშაოებმა ეფექტი არ მოგვცა. ზღვა ყოველდღიურად გვიტევს და კატასტროფა შორს არ არის. ქალაქის ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩის (ბარათაშვილის ქუჩის) ბოლოს ზღვა უკვე ქუჩას რეცხავს.

ბუნებას ნუ ვეხუმრებით, ბატონებო, ის შეცდომებს არავის პატიობს. დღეს დანამდვილებით არავინ იცის ფოთი (ფაზისი), სად იყო ადრე ხანაში. ეს ისტორიის საიდუმლოა. ამჟამინდელი ქალაქის ადგილსამყოფელსაც ნუ გავუხდით მომავალ თაობას საძიებლად.

არანაკლებია პრობლემა ქალაქში შემოსასვლელში რიონის მარეგულირებელ წყალგამყოფ ნაგებობაზე. ეს ნაგებობა ნახევარ საუკუნეზე მეტია, კარგად თუ ავად ემსახურება ქალაქს და თავის საქმეს აკეთებს. მაგრამ დროთა განმავლობაში მისი მდგრადობა შეირყა და საჭიროა შეკეთება. უკვე 10 წელზე მეტია, არ დაადგა საშველი მის შეკეთებას. თუ გავითვალისწინებთ, რომ რიონი მეტად აგრესიული მდინარეა და ნაგებობა თავიდან არც იყო გათვალისწინებული მძიმეწონიანი მანქანების რეგულარულ გატარებაზე, უნდა ვივარაუდოთ, რომ კატასტროფა გარდაუვალია, ნაგებობის ჩანგრევა კი კარსაა მომდგარი. კატასტროფის შედეგების მასშტაბები ძნელი წარმოსადგენია, ის მთელ ზღვისპირეთს ჩარეცხავს ქობულეთიდან ანაკლიამდე.

ეს საკითხთა საკითხებია. მათი გადაწყვეტის დაყოვნება ყოვლად დაუშვებელია. ეს გამოუსწორებელი შეცდომა იქნება.

გთხოვთ, ბატონო პრემიერო, სასწრაფოდ გამოყოთ შესაბამისი კომისია ადგილზე პრობლემების შესასწავლად და მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ფოთელების გასაჭირი ამით არ მთავრდება. სამი ათეული წლის წინათ ფოთი ითვლებოდა ერთ-ერთ განვითარებულ სამრეწველო ცენტრად, რომელშიც 19 სამრეწველო ქარხანა გახლდათ, მათ შორის 6 საკავშირო დაქვემდებარების. საწარმოო სექტორში დასაქმებული გახლდათ 19 ათასი კაცი. დღეს ეს ყველაფერი დანგრეულ-განადგურებულია. ამათ ნაცვლად სამაგიერო არაფერი აშენებულა, მაშინ, როდესაც ქალაქი განთქმული იყო კვალიფიციური მუშა კადრებით, დღეს ქალაქში თითო კაცობით საძებარია ზეინკალ-ხარატი. ხალხი გადაცვენილია სხვა ქვეყანებში ლუკმაპურის საშოვნელად. არა მარტო სამრეწველო, სხვა დარგებიც განადგურებულია.

ქალაქს გაუყიდეს საავადმყოფოს და პოლიკლინიკის შენობები. დღეს ფოთელები თავის ავადმყოფებს (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით) **„დააპორწიალებენ“ ქუთაისსა, ზუგდიდსა და ქობულეთს შორის**. მაშინ, როდესაც მთელ დასავლეთ საქართველოს ფოთზე ეჭირა თვალი, დღეს ფოთში მარტივი ბრმანაწლავისა და გლანდების ოპერაციას ვერ გაგიკეთებენ, ნორმალურად ჭრილობას ვერ შეგიხვევენ. ესაა ქალაქი და ასე ზრუნავს სახელმწიფო ჩვენს ჯანმრთელობაზე?! პასუხისმგებლობით ვაცხადებთ – მინისტრ დ. სერგეენკოს საპარადო ვიზიტები ფოთში საქმეს ვერ შველის. საქმე სერიოზულად მოსაწესრიგებელია.

ადრე მხოლოდ თევზის გადამუშავებისას გამოყოფილი სუნი აწუხებდა ქალაქს. შემდეგ ამას დაემატა ნავსადგურში მავნე მინერალების (ალუმინის ოქსიდის) ღია დამუშავებით (რაც კანონით აკრძალულია) გამოყოფილი მტვერი, რომელმაც ნავსადგურის ახალი ხელმძღვანელობის დროს კიდევ უფრო დიდი მასშტაბები მიიღო და მისი უარყოფითი გავლენა მოსახლეობის ჯანმრთელობაზე კიდევ უფრო გაიზარდა.

თითქოს ეს არ გვყოფნიდა, მაგრამ ხალხის დაუკითხავად ნაბადის უბნის ტერიტორიაზე გაიხსნა მეტალურგიული საამქრო, რომლის გამონაბოლქვმა ჰაერიც დააბინძურა და მწვანე ნარგავიც, სუნთქვა შეუკრა ხალხსაც და ბუნებასაც. საინტერესოა, ვინმე აგებს ან არ უნდა აგებდეს ამ უმსგავსობებზე პასუხს?

ახლო მომავალში ფოთელებს კიდევ ერთი უბედურება დაატყდებათ თავს. ხალხის პროტესტის მიუხედავად, ქალაქის ფარგლებში, მის აღმოსავლეთ მხარეში, უკვე აშენდა და მალე ექსპლოატაციაში შევა ცემენტის მწარმოებელი ქარხანა. ქალაქის აღმოსავლეთ მხარეს, ალბათ, იმიტომ აშენდა ეს ქარხანა, რომ ამ მხრიდან დღენიადაგ ქრის აღმოსავლეთის ქარი, ცემენტის მტვერი უკეთ გაიშლება ქალაქშიო. სხვა ახსნა ამ ფაქტს არა აქვს. რა ვქნათ ახლა ფოთელებმა, ეკონომიკის სამინისტროს მიერ ჩადენილ სისულელეებზე ვიცინოთ, თუ... ვიტიროთ? პროცესების ეს რა მართვაა. ნამეტანი ბევრი ცოდვა ხომ არ დაუგროვდა ეკონომიკის სამინისტროს ქალაქ ფოთში?

ქალაქმა დიდი ხანია, დაკარგა თავისი სახე. არცერთი ქუჩა (ხაზს ვუსვამ არცერთი!) ქალაქში არ არის ნორმალურ მდგომარეობაში. საითაც არ გაიხედავთ, დანგრეული და ჩამონგრეული შენობები, საცოდავად შემოღობილი ან სრულად შემოუღობავი ნასახლარი ტერიტორიები, სადაც სარეველა – ბალახს გაუხარია – კაცმა არ იცის რა დანიშნულებისაა და როდის გაიხსნება.

ქალაქს არ გააჩნია არცერთი კინოდარბაზი ან კლუბი, სადაც შეიძლება ხალხი შეიკრიბოს, კულტურულად დაისვენოს. ფეხბურთის სამშობლოდ მიჩნეული ქალაქი ფეხბურთის სტადიონის გარეშეა დარჩენილი. ბოლო არ უჩანს დაპირებას, ქალაქში ერთი ნორმალური სპორტული დარბაზი აშენდეს!

ბატონო პრემიერო!

არ ვიცით, რას გვიქადის მომავალი, ვის ხუშტურებზე ვივლით. ვინც მოდის ჩვენთან, ყველა წამგლეჯია, მომტანი და ამშენებელი არავინ გვინახავს.

ჩვენს გასაცოდავებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ყოფილ ხელისუფლებას. მისი ნარჩენები ჯერ კიდევ არიან ხელისუფლებაში და მათი უარყოფითი გავლენა იგრძნობა. ადგილობრივი ხელისუფლება უძლურია რამე იღონოს. ქალაქის ბიუჯეტი იმდენად მცირეა, ჩიტებს არ ყოფნით საკენკად.

კიდევ უფრო მეტი ბურუსითაა მოცული ქალაქის მომავალი. ქალაქს არ გააჩნია განვითარებისა და აღმშენებლობის პერსპექტიული გეგმა. ქალაქი რაღაცნაირად ამოვარდნილია რესპუბლიკური რკალიდან და ჩვენთვის მათი ინტერესები ზუგდიდს არ სცილდება.

ფოთელები გეკითხებით – სანამ შეიძლება, ეს ასე გაგრძელდეს? როდის მოეღება ბოლო ჩვენს აწიოკება-დაწიოკებას?

იბადება სამართლიანი კითხვა – ვინმე სპეციალურად ხომ არ ცდის ჩვენ მოთმინებას? ჩვენგან არგონავტებმა მხოლოდ ოქროს საწმისი და მედეა გაიტაცეს, შემდეგ – გარეშე თუ შინაურმა უკეთურებმა ჩვენგან სხვა დოვლათიც ბევრი ზიდეს, მაგრამ ჩვენთვის არავის წაურთმევია პატივი და ღირსება. ნუ გავხდით საქუხრად იმას, რისი მოგვარებაც უხმაუროდ შეიძლება.

ღმერთი იყოს თქვენი და ჩვენი მფარველი!

დაგვეხმარეთ ჩვენ და ჩვენ დავეხმარებით ქვეყანას!

ბატონო პრემიერო!

რაც ამ წერილმა დაიტია, ფოთელების გულისტკივილის მხოლოდ ნაწილია. ბევრად უფრო მეტი გვიჭირს, ვიდრე ამას ვინმე გარედან ხედავს. გულწრფელად გეუბნებით, გვრცხვენია ამ წერილის მოწერა. ფოთელები მთავრობისკენ ხელგამოწვდილნი არასდროს ვყოფილვართ, გაგვაჩნია ღირსება და ისტორიული კოლხური სიამაყე, მეტ-ნაკლებად ვუმკლავდებოდით ჩვენს პრობლემებს, მაგრამ ამ უკანასკნელ წლებში უღმერთოდ დავისაჯეთ, პირწმინდად გაგვძარცვეს და პატივი აგვყარეს!

ომარ ხუხუნი,
ქალაქ ფოთის საზოგადოებრივი დარბაზის თავმჯდომარე

რას შეცვლის მართვის 100-ქულიანი სისტემა?

რამდენიმე თვეში საგზაო მოძრაობის ახალი, 100-ქულიანი სისტემა ამოქმედდება, რომლის მიხედვითაც, ურჩ მძღოლებს, ქულათა ამოწურვის შემთხვევაში, მართვის მოწმობა ჩამოერთმევათ. უფრო ზუსტად, ამ ეტაპზე წარმოდგენილ კანონპროექტში, ნათქვამია:

თუ მართვის მოწმობის მფლობელს 100 ქულა გაუნულდება, მას მართვის უფლება ერთი წლით ჩამოერთმევა და გამოცდის თავიდან ჩაბარება მოუწევს;

ღვედის გარეშე მოძრაობა 5 ქულით ჯარიმდება;

საჭესთან მობილური ტელეფონით საუბარი — 10 ქულით;

ზებრა გადასასვლელზე დარღვევით მოძრაობა 10 ქულით ჯარიმდება;

შუა ქუჩაზე პარკირება -20 ქულით;

ავტომობილის სანომრე ნიშნების გარეშე მოძრაობა 30 ქულით დაჯარიმდება;

თუ მძღოლი დასაშვებ სიჩქარეს 40-ით გადააჭარბებს, 20 ქულა ჩამოეჭრება, ნაკლები სიჩქარით გადაჭარბების შემთხვევაში კი — 10 ქულით დაჯარიმდება;

თუ მძღოლი საკუთარ ავტომობილს ალკოჰოლური ზემოქმედების მქონე სხვა პირს ათხოვებს, მძღოლს 30 ქულის ოდენობის ჯარიმა დაეკისრება;

ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფი მძღოლი თუ საკუთარ ავტომობილს მართავს მართვის მოწმობა ავტომატურად ჩამოერთმევა და მისი აღების შანსი მხოლოდ სამ თვის შემდეგ ექნება.

კანონპროექტზე მუშაობა კვლავ გრძელდება, მანამდე კი „მეტრონომთან“ საკრებულოს დეპუტატი დამოუკიდებელი ფრაქციიდან „დედაქალაქი“, შალვა ოგბაიძე საუბრობს და მართვის მოწმობის ახალ სისტემას აფასებს.

„მეტრონომი“: ბატონო შალვა, მართვის მოწმობის 100 ქულიანი სისტემა შევაფასოთ, რამდენად ეფექტური იქნება მისი ამოქმედება?

შალვა ოგბაიძე: ძალიან კარგია, რომ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების თემა აქტუალურია, მაგრამ, ხანდახან, იმაზე მეტ მოლოდინს ვიჩენთ, ვიდრე საჭიროა, თითქოს რაღაც პანაცეა იყოს. კანონის გამკაცრება და რეგულაციის დახვეწა აუცილებელია, მათ შორის, ეს 100-ქულიანი სისტემა ურჩი მძღოლებისთვის ცივი შხაპი იქნება, რადგან ისინი ჯარიმებს არაფრად დაგიდევენ და რამდენსაც გამოუწერ, იმდენს იხდიან. ფაქტობრივად, ფულით ყიდულობენ დარღვევით სიარულის ნებართვას. მაგრამ, საზოგადოება რატომ უნდა ელოდებოდეს ხვალ უფრო მკაცრად როგორ დასჯიან? რატომ ველით სამი თვის მერე ამ კანონის ამოქმედებას? უკვე ჩავთვალოთ, რომ ნებისმიერი დარღვევა შეიძლება, ავარიის და, შესაბამისად, სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების მიზეზი გახდეს. სტატისტიკა კი ამასთან დაკავშირებით საგანგაშოა.

— 100 ქულის ამოწურვის შემთხვევაში მძღოლს ჩამოერთმევა მართვის მოწმობა და გამოცდის თავიდან ჩაბარება მოუწევს. მაგალითად, ღვედის გარეშე მოძრაობისთვის გათვალისწინებულია 5 ქულა. რამდენად სწორია?

— თუ დარწმუნებული ვიქნებოდი, რომ ღვედისთვის 50 ქულის მინიჭება ამ პრობლემას აღმოფხვრიდა, მხარს დავუჭერდი. მაგრამ რეალისტები უნდა ვიყოთ — ნებისმიერი ქმედება იმ შედეგის ადეკვატური უნდა იყოს, რაც შეიძლება დადგეს. ქულების ამოწურვის შემთხვევაში მომხრე ვარ, მძღოლს თავიდან მოუწიოს გამოცდის ჩაბარება და თან პრაქტიკული მეთოდით — ქალაქში გასვლით. 100-ქულიანი სისტემით სულ 4-5 ტიპის დარღვევა საკმარისია, რომ მძღოლს შეუჩერდეს მართვის მოწმობა.

— ყველაზე მაღალი, 30 ქულა ამ სისტემაში ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანისთვის ავტომობილის თხოვებას აქვს.

— და არა მხოლოდ ყველაზე მაღალი ქულა — თითქმის მესამედი ამ საჯარიმო ქულების კრედიტიდან, არამედ თავად მძღოლს, თუ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ დაჯდება საჭესთან, მართვის მოწმობა ჩამოერთმევა და სამ თვეზე ადრე შეწყალების არანაირი მექანიზმი არ ექნება.

— შესაბამისად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს სისტემა ურჩი მძღოლებისთვის იმუშავებს?

— შედეგზე შეიძლება იმის შემდეგ ვისაუბროთ, როცა ავარიების დინამიკა შემცირდება და იმედია, არათუ შემცირდება, არამედ ამის შემდეგ აღარავინ დაიღუპება. ეს მიზანი კი სამოქალაქო სექტორის და ხელისუფლების პარტნიორობით მიიღწევა. ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს. თითოეული ჩვენგანი, საჭეს რომ მივუსხდებით, ტვინს ძალა უნდა დავატანოთ და დავფიქრდეთ, ნასვამ მდგომარეობაში მართვას რა შედეგის მოტანა შეუძლია.

— დაბოლოს, რა აკლია მართვის მოწმობის 100-ქულიან სისტემას, რის ხილვას ისურვებდით კანონპროექტში?

— კანონპროექტის პირველივე მოსმენისას ერთ-ერთ საკითხად დავაყენე, რაც, სამწუხაროდ, ამ ეტაპზე არ გავიდა, მაგრამ არ შევეშვები — უადგილო ადგილზე ავტომობილის პარკირების თემა. თუკი ავტომობილი დგას ისეთ ადგილზე, რომ წარმოშობს საცობს, ან ზღუდავს შშმ პირის გადაადგილებას, ან — ადამიანების ტროტუარზე გადაადგილებას, ეს განსაკუთრებული სიმკაცრით უნდა ისჯებოდეს. კანონპროექტში ამის ხილვას ვისურვებდი.

მანა ნოდია

„ოქროს შუალედის“ დერეფანი

საერთაშორისო ფინანსურ ასპარეზზე მსოფლიო სარეზერვო ვალუტის დოლარის ნებისმიერი მერყეობა უმალ აისახება ხოლმე ლარის, ასე ვთქვათ, „ჯანმრთელობის მდგომარეობაზე“. ბუნებრივია, რომ ეს არ არის ეროვნული ვალუტის კურსის ერთადერთი განმსაზღვრელი, თუმცა კი საკმაოდ წონადი ფაქტორია.

ამდენად, ერთგვარად წყვეტილი დევალვაციის პერიოდის შემდეგ, მარტში დოლარის მიმართ ლარი დაახლოებით 10-პროცენტიან ფარგლებში გამყარდა, თუმცა კი შარშან ამავე დროს ეს პროცესი გაცილებით უფრო შთამბეჭდავი იყო და 20 პუნქტს აჭარბებდა. რაც შეეხება ლარის კურსის მერყეობის სამომავლო პერსპექტივებს, იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალურმა სარეზერვო ბანკმა საპროცენტო განაკვეთის გაზრდა დააანონსა, მოსალოდნელია, რომ ზაფხულის დამდეგიდან ის რამდენადმე შემცირდება და, როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, დაახლოებით 2,4-ის რაიონში იქნება მოქცეული.

რაც შეეხება ლარის საგაზაფხულო გამყარების შიდა მიზეზებს, ექსპერტთა დიდი ნაწილის აზრით, ამაში დადებითი როლი შეასრულა ეგრეთ წოდებულმა ლარიზაციის პროგრამამ. მისი მოქმედების შედეგად აშკარაა ლარზე მოთხოვნის გაზრდა, რის წინაპირობა ისაა, რომ ყველა აქტივის დაცვა და საბანკო ტრანზაქცია ეროვნული ვალუტით უნდა ხორციელდებოდეს. ისიც უნდა ითქვას, რომ კანონი ამის შესახებ დიდი ხნის მიღებულია, თუმცა კი ის, ფაქტობრივად, არც ერთ სფეროში არ მოქმედებდა.

ექსპერტები იმასაც აღნიშნავენ, რომ ქვეყანაში ფულადი ნაკადები თავისუფლად რომ მოძრაობდნენ, საამისოდ არც ლარის კურსის ვარდნაა სიკეთის მომტანი, არც მისი ზედმეტად გამყარებაა კარგი. ხაზს უსვამენ იმ გარემოებასაც, რომ ეროვნული ბანკის უმთავრესი ამოცანაა ლარის კურსის სტაბილურობის შენარჩუნება დროის ხანგრძლივ მონაკვეთში, რადგან ეროვნული ვალუტის რომელიმე მხარეს მკვეთრი, ძნელად საპროგნოზო მერყეობები უაღრესად უარყოფით ზეგავლენას ახდენს საინვესტიციო გარემოზე.

ამდენად, ყველაფერი, როგორც ყოველთვის, ეროვნული ბანკის მონეტარულ და მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკაზე იქნება დაემოკიდებული.

ლალი ხუნდაძე

ნინო ბურჯანაძე გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე დაჰკითხეს

პარტია „დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე სანდრო გირგვლიანის მკვლელობაზე დაიკითხა.

პარტია „დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარემ დაკითხვაზე პოლიტიკოსთა გვარები დაასახელა, რომელთაც მწვავე პოზიცია ჰქონდათ და თვლიდნენ, რომ ახალაია არ უნდა გაწირულიყო. ბურჯანაძის მიერ დასახელებული ადამიანები არიან: გიგა ბოკერია, გიგი უგულავა, ნიკოლოზ რურუა და კახა ლომაია. ბურჯანაძის თქმით, ის განსაკუთრებით გამოყოფს გიგა ბოკერიას, რომელიც ახალაიას დასჯის წინააღმდეგი იყო. ნინო ბურჯანაძის განცხადებით, შეწყალების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება მისთვის მოულოდნელი იყო. ის შესაძლო გარიგებაზეც ლაპარაკობს:

„ძალიან მყარი „ნაციონალები“, რომლებსაც თვალზე აფარებული ჰქონდათ ბინდი, ცდილობდნენ, რომ მათ სირაქლემას პოზიცია დაეკავებინათ, განსაკუთრებით გამოვყოფ გიგა ბოკერიას, ნიკა რურუას, გიგი უგულავას, კახა ლომაიას, რომლებსაც ჰქონდათ ძალიან მწვავე პოზიცია. განსაკუთრებით გამოვყოფდი ბოკერიას, რომელიც კატეგორიულად წინააღმდეგი იყო დათა ახალაიას დასჯის. კამათი ამ თემაზე ჩემსა და ბოკერიას შორის პრეზიდენტის ოთახში მოხდა, როდესაც ის მეუბნებოდა — რა გინდათ, ქალბატონო ნინო, ჩვენ დავსჯეთ დამნაშავეები, ვინც ეს გაკეთა და რატომ უნდა დავსაჯოთ ვინმე სხვა, იმიტომ, რომ თქვენ და საზოგადოებას ასე გინდათ? ამ ადამიანებს პირდაპირ არაფერი ჩაუდენიათ და არაფერი არ უმტკიცდებათ. იყო მცდელობა, რომ მაქსიმალურად თავდაპირველი ბრალის სიმძიმე გადაეტანათ გარდაცვლილ ახალგაზრდაზე. მე მიყვებოდნენ ხატოვნად, რომ მას ჰქონდა ცუდი სიმთვრალე“, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

კვიპროსელები საქართველოს ტურისტულ პოტენციალს ეცნობიან

საქართველოს აეროპორტების გაერთიანებისა და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინიციერებით, ქუთაისი-ლარნაკას ავიამიმართულების პოპულარიზაციის მიზნით, საქართველოს სამუშაო ვიზიტით ესტუმრა კვიპროსის ტურიზმის ადმინისტრაცია, კვიპროსის წამყვანი ტურისტული კომპანიები და ავიაკომპანია ვიზეარის წარმომადგენლები.

დელეგაცია გაეცნო ჩვენი ქვეყნის ტურისტულ პოტენციალს. ვიზიტის ფარგლებში 10 აპრილს გაიმართა შეხვედრა საქართველოს ტურისტულ კომპანიებთან, სადაც ავიაკომპანია ვიზეარმა და კვიპროსულმა მხარემ თავიანთი პროდუქტის პრეზენტაციები ჩაატარეს და უფრო ახლოს გაეცნენ ქართულ ტურისტულ სექტორს.

ქვეყნის წინაშე დანაშაული აშკარაა, სიტყვა ქართველ ხალხზეა!

2008 წლის 12 აგვისტო. „გამარჯვებული“ სააკაშვილის ზეიმი თბილისში.

ეგრეთ წოდებული ნაციონალები ხელისუფლებაში დანაშაულებრივი გზით მოვიდნენ, ამიტომ ჯერ ეს უნდა აგვეხსნა ფართო საზოგადოებისთვის, მაგრამ არ გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ამ მნიშვნელოვან ეროვნულ საქმეს გააკეთებდნენ და ქვეყანას აციილებდნენ კატასტროფას; კატასტროფაა, აბა რა არის, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ცალკე სახელმწიფოებად აღიარება, ახალგორისა და კოდორის ხეობის დაკარგვა, თბილისიდან ქუთაისში პარლამენტის გადატანა და ა. შ.

ნაცების გათავხედება ჩვენი უნიათობის ბრალია და არა მარტო ხელისუფლებისა. მრავალპრობლემიანი ქვეყანა კვლავ ბჭობს და ფიქრობს, ვის მოსთხოვოს შექმნილ მდგომარეობაზე პასუხი და დამნაშავენი სათანადოდაც დასაჯოს. მართალია, ცალკეული პირები ყოველივე ამის შესახებ ვწერდით, მაგრამ მას საყოველთაო გამოხმაურება არ მოჰყოლია და შედეგიც შესაბამისი მივიღეთ.

არ გაგიკვირდეთ: სამაჩაბლოს ომთან დაკავშირებით სააკაშვილმა რუსეთი ანკესზე წამოაგო. ჩვენთან კი ამტკიცებენ, პირიქითო. საქმეში ღრმად ჩახედული ექსპერტები იმასაც ამბობენ, რომ რუსმა სამხედროებმა მწარედ მოატყუეს სააკაშვილი, თითქოს ოსებთან კონფლიქტში რუსი სამხედროები ნეიტრალიტეტს დაიჭერდნენ. სავარაუდოა, რუსებმა ეს გააკეთეს ქრთამის სანაცვლოდ, რაც იმ გარეშე ძალებმა გაიღეს, რომელთაც ხელს არ აძლევთ რუსეთ-საქართველოს ნორმალური ურთიერთობის დამყარება.

ომის დაწყების პირველ დღეს ხბოსავით აღტყინებული სააკაშვილი გამოდის ტელევიზიით და გახარებული მიმართავს ხალხს, რუსები ამ კონფლიქტში არ ჩაერთვებიანო. გაუშვან ფირი და ყველაფერს ნათელი მოეფინება. რაც შეეხება სააკაშვილის როლს პროვოკაციაში, აქაც საკითხის ახსნა იოლია. წარმოვიდგინოთ ზღვაზე გასული მეთევზე, რომელიც ანკესზე წამოაგებს ვეშაპს. ვეშაპი ხომ მეთევზეს თავის ანკესიანად ზღვაში გაიტაცებს და მიახრჩობს. ქართველი ხალხის უდიდესი შეცდომა იყო ის, რომ ომის მსვლელობისას არ გადააყენა ეს თავზეხელაღებული სააკაშვილი. ასე რომ წარმართულიყო პროცესები, სავარაუდოა, საქართველო არ დაკარგავდა ახალგორის რაიონს და კოდორის ხეობას, არ აღიარებდნენ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს ცალკე სახელმწიფოებად.

ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა 2012 წლის ოქტომბერში საჯაროდ განაცხადა, რომ სააკაშვილთან ერთად მუშაობას ვერ შეძლებდა. ამისთვის დასავლეთმა იგი სასტიკად გააკრიტიკა და აიძულა კოჰაბიტაცია შემოეღო. ბუნებრივია, ერთი კაცი მთელი დასავლეთის წინააღმდეგ ვერ წავიდოდა, ასეთ ვითარებაში მთელი ქართველი ხალხი ქუჩაში უნდა გამოსულიყო და მხარი დაეჭირა ივანიშვილისთვის, რათა თავიდან აგვეცილებინა თავსმოხვეული კოჰაბიტაცია და ნაცების აღზევება.

ყველა, ვინც კი ფარულად თუ აშკარად მხარს უჭერს ნაცებს, გვაფრთხილებს: არ ვაწყენინოთ დასავლეთს, შევასრულოთ ყველა მისი მითითება, წინააღმდეგ შემთხვევაში ზურგს შეგვაქცევენ და დავიღუპებითო. სინამდვილეში საქმის ვითარება ასეთია: მიუხედავად დასავლეთის ყოველგვარი მცდელობისა, მან ფეხი ვერ მოიკიდა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში. მაგალითად, აზერბაიჯანმა საჯაროდ განუცხადა დასავლეთს, რომ მათთან ალიანსში არ გაერთიანდება, მას საკუთარი ინტერესები აქვს და მათი შესუსტების მიზნით აღებულ გზას არ გადაუხვევს, თუ გსურთ ურთიერთსარგებლიანი ურთიერთობა, წინააღმდეგი არ ვიქნებითო. ამჟამად დასავლეთი ეძებს გზებს, რათა ამ ქვეყნის მმართველთა შემოთავაზებულ წინადადებას საკუთარი, ოპტიმალური მიმართულება მიუსადაგოს. აზერბაიჯანი აყენებს მოთხოვნებს თავისი და არა დასავლეთის ინტერესების შესაბამისად.

გამოდის, რომ რეგიონში დასავლეთს საქართველო დარჩა ერთადერთი ერთგული მოკავშირე და მის შესანარჩუნებლად ყველაფერს იღონებს. აქედან გამომდინარე, საქართველოში პოლ პოტას რეჟიმი რომ დამყარდეს, დასავლეთი ჩვენთან ურთიერთობაზე უარს იტყვის? რასაკვირველია, არა, მაგრამ, იგი, რომ იტყვიან, ჩვენ თვითონ გავანებივრეთ. ქართული პარტიები ერთმანეთს ეჯიბრებიან, რათა დასავლეთს მეტი ერთგულება დაუმტკიცონ. ასეთ შემთხვევაში მას არჩევანის უფლება აქვს და იმასთან იურთიერთობებს, ვინც მეტად გამოიჩენს თავს ამ მხრივ. ჯერჯერობით დასავლეთის რჩეულნი არიან ნაცები, რომლებმაც ეროვნული ინტერესები დასავლეთთან ურთიერთობას შესწირეს, ამისთვის ნაცები სათანადოდ დააფასეს. დასავლეთი მაშინაც კი ამოუდგა მხარში ნაცებს და სააკაშვილს, როდესაც განხორციელდა რუსეთ-საქართველოს ომის პროვოკაცია. ხალხს იმის საშუალება არ მიეცა, ქვეყნის დამაქცევრები სათანადოდ დაესაჯა, მეტიც, სასტიკი დამარცხება გამარჯვებასავით გვაზეიმეს.

კარგად გავიხსენოთ დრო, როდესაც ამ ზეიმში უცხო სახელმწიფოების თვალსაჩინო წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. საფრანგეთის პრეზიდენტი მხარში ედგა სააკაშვილს, ემანდ, დამარცხებისგან გამწარებული ქართველები მწყობრიდან არ გამოვიდნენ და სააკაშვილს სინდისუქონელი შუბლი არ გაუხვრიტონო. თქვე უმადურებო, სააკაშვილმა უდიდესი საქმე გააკეთა, კაცობრიობას უჩვენა რუსული სახელმწიფოს აგრესიულობა, ხოლო დაკარგული ტერიტორიები, როგორც ქართველი ნაცები გვიმტკიცებენ — მხოლოდ ქვაღორღისაგან შედგება და არაფერში გამოსაყენებელი ყოფილა. ასე გვაშოშმინებენ დასავლეთის სახელმწიფოები. ამიტომ გასაკვირი არ არის, თუ დასავლეთი ამჟამადაც მხარს უჭერს ნაცებს. მაგრამ მათი მხარდაჭერა ზენა ქარს გაჰყვება, თუ ქართველი ხალხი ბოლოს და ბოლოს გააცნობიერებს სააკისტების ანტიეროვნულ საქმიანობას და შედეგად ეს ანტიქართველები წყლის ნაპირზე ამოყრილ თევზებს დაემსგავსებიან.

ამიერიდან, თუ ხელისუფლება დასავლეთის უსამართლო გადაწყვეტილებებს ქართველი ერის ინტერესების უგულებელმყოფელ შემოთავაზებებს წინააღმდეგობას გაუწევს და ყოველივე ამას სათანადო მტკიცებულებებით, დიპლომატიური ეთიკით დაწერილ მიმართვებსა და განცხადებებს დროულად წარუდგენს დასავლელის სტრატეგიულ მეგობრებს, მაშინ ქართველი ხალხი ამ წინ გადადგმულ ნაბიჯებს გაიგებს და მოსახლეობის თვალში ხელისუფლების ავტორიტეტი განუზომლად ამაღლდება.

შიშისა და ორჭოფობის პოლიტიკა ყოველთვის დამღუპველია. თუ სწორი გზით მიემართება ქვეყანა და მას ბოროტი ძალები წინ აღუდგებიან, რაც ძლიერ შეაფერხებს წინსვლას, ასეთ შემთხვევაშიც კი მაქინაციურად გზის გაკვლევა დაუშვებელია. მოვიქცეთ სამართლიანად, ვითარების შესაბამისად, რასაკვირველია, დიპლომატიურად და წარმატებაც გვექნება. თუ დღენიადაგ იმის შიშში ვიქნებით, ჩვენი ქცევა დასავლეთს მოეწონება თუ არა, შედეგს მივიღებთ.

ბოლო დროს შეინიშნება — საქართველოს ხელისუფლება გარკვეულ წინააღმდეგობას უწევს დასავლეთის პოლიტიკურ წრეებს. ეს იგრძნობა მათი განცხადებების ქვეტექსტებში. ამ კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა, როდესაც სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოში მძაფრად გააკრიტიკეს ნაცებმა, ეს ქმედება საგანგაშოდ გამოაცხადეს — დავიღუპეთ, დასავლეთი ჩვენზე ხელს აიღებს, ურჩობას არ გვაპატიებსო.

ბავშვიც კი მიხვდება იმას, რომ „რუსთავი-2“-თან დაკავშირებულ მოვლენათა გამო დასავლეთი საქართველოსთან, ამ რეგიონში ერთადერთ მოკავშირესთან, საქმეს არ გაიფუჭებს. რასაკვირველია, ნაცებიც კარგად აცნობიერებენ ამას. მათი საქმე მრავალი კუთხით არ მიდის სასიკეთოდ და ამიტომ ყოველგვარ სიბილწეს მიმართავენ. ეტყობა, აცნობიერებენ ხელისუფლების განზრახვას, ამიერიდან ისე მოიქცეს, როგორც შეეფერება დამოუკიდებელ მთავრობას და შეშფოთდნენ, ხელისუფლება ხალხში ავტორიტეტს მოიპოვებს და მომავალ არჩევნებში მასვე დარჩება გამარჯვებაო.

გამოდის, „ოცნებას“ გამარჯვებისთვის კიდევ აღმოაჩნდა მნიშვნელოვანი კოზირი. ვნახოთ, ამ კოზირს როგორი ინტენსივობით გამოიყენებს მმართველი პარტია.

ორიოდე სიტყვით შევეხოთ ბათუმის „გამოსვლებს“ — ეს ვრცლად განსახილველი თემაა. გასარკვევია, ვინ როგორი სიფრთხილით ეპყრობა სახელმწიფო და ეროვნული მნიშვნელობის ფაქტორებს. ამ გამოსვლებმა დაამტკიცა, რომ პარტიათა უმრავლესობის მამოძრავებელი ძალა პირადი ინტერესებია და არა ქვეყნისა. მათგან ამ მხრივ გამოირჩევა ეგრეთ წოდებული ნაციონალური მოძრაობა.

ყველა ერს თავისი დამახასიათებელი პრობლემები აქვს. ამ მხრივ გამონაკლისს არც ქართველი ერი წარმოადგენს. მრავალკუთხურობა ქვეყნის სიმტკიცის კრიტერიუმი როდია. ამიტომ ერთ ერად ჩამოყალიბების პროცესის დასრულებისთვის თითოეული ქართველი უნდა იღვწოდეს.

თითოეულ კუთხეს, რეგიონს მისთვის დამახასიათებელი პრობლემა აქვს, რის აღმოსაფხვრელადაც აგრეთვე დღენიადაგ უნდა ვიღვწოდეთ. აჭარა საქართველოს ძირძველი კუთხეა. სწორედ ამ მხარიდან შემოვიდა საქართველოში ქრისტიანობა; სწორედ ამ მხარიდან (ტაოკლარჯეთი) იწყო საქართველომ გაერთიანება და განმტკიცება. მაგრამ ბედის უკუღმა ტრიალმა ქვეყნის ერთიანობის ბურჯი სამასი წლის განმავლობაში დამპყრობლის უღელქვეშ მოაქცია. ჩვენდა საბედნიეროდ, აჭარა დაუბრუნდა დედასამშობლოს. ამიერიდან იწყება აჭარის სხვა კუთხეებთან, ასე ვთქვათ, ინტეგრაციის პროცესი. ეს პროცესი ძირითადად სწორად წარიმართება. ცალკეული შეცდომები იყო, მაგრამ ძირითად ხაზზე მათ გავლენა არ მოუხდენია.

ამ ბოლო დროს ნაცების „ლოგიკა“ ემსგავსება ფსიქიკურად გაუწონასწორებელი ინდივიდების ლოგიკას. ძირითად დოქტრინად ხელისუფლებაში მოსასვლელად დაისახეს მხოლოდ და მხოლოდ „რევოლუციური გზა“, რაც, მათი აზრით, უნდა დაეფუძნოს ქუჩაში საპროტესტო გამოსვლებს. ეს მათი ოფიციალური განაცხადია და არც უარყოფენ, მაგრამ უმალვე ივიწყებენ, როდესაც გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან და პატარა ბავშვებივით უარყოფენ ადრე თქმულს — ასე როდი ვამბობდით, არჩევნების მეშვეობით ვაპირებთ ხელისუფლებაში მოსვლასო. ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო.

ნაცების უმეცრება, ულოგიკობა, ანტიქართველობა თვალში საცემია, მაგრამ გასაკვირია, ჯერ კიდევ რომ შემორჩენენ ადამიანები, რომელთაც მათი სჯერა. გამოძიება ყველაფერს დაადგენს, თუ ნაცების ორგანიზატორობა ბათუმის ტრაგედიაში დამტკიცდა, მათ ერის წინაშე მოუწევთ არამარტო პოლიტიკური პასუხისმგებლობა, არამედ სამართლებრივიც.

ბათუმის ვანდალიზმში მონაწილე პირები, რასაკვირველია, უნდა დაისაჯონ, მაგრამ უნდა გაითვალისწინონ ვითარება, გაბრიყვებული, მოტყუებული ადამიანების მდგომარეობა და, შესაბამისად, მათ სასჯელი შეუმსუბუქდეთ, რასაკვირველია, დანაშაულის აღიარების შემდეგ. რაც შეეხება ნაცმონაწილეებს, მათზე მთელი სიმკაცრით უნდა განხორციელდეს სასჯელი. მათ ვაპატიეთ ცხრაწლიანი ანტიქართული ქმედებანი, რამაც დადებითად არ იმოქმედა და კვლავ განაგრძობენ ანტიქართულ გამოხდომებს, რისთვისაც ერის ორგანიზმიდან მოკვეთის ღირსი არიან. აუცილებლად აღსანიშნავია ისიც, რომ ვანდალიზმი წარმოშვა და ასეთი სახით განვითარებაში მთავარი როლი შეასრულა სააკაშვილის მიერ განხორციელებულმა „რეფორმამ“, რაც მან გაატარა აჭარაში ცნობილ მოვლენებთან დაკავშირებით. ისარგებლა რა შექმნილი სიტუაციით, ავტონომიის მმართველობა რეალურად მიითვისა, ისე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებსა და რაიონებში. აქ აჭარა გამონაკლისი არ იყო. საქართველოს სხვა კუთხის მცხოვრებლებმაც უნდა გააცნობიერონ, რომ სააკაშვილი და მისი თანამოსაქმენი საერთო სიმსივნეა. აღსაშფოთებელია, რომ ნაცების მიერ შექმნილი პრობლემები თვითონვე გამოიყენეს აჭარაში არეულობის შესაქმნელად, ამიტომ განაწყენებულ, გაბრიყვებულ ადამიანებს მთელი რისხვა ნაცებისკენ უნდა მიემართათ და არა სხვისკენ. ჩანს ზემოხსენებული პრობლემების ნაწილი კვლავ მოუგვარებელია. რასაკვირველია, ამ რეალობას ხელისუფლება აცნობიერებს და იმედი უნდა ვიქონიოთ, ყველაფერი ისე იქნება, როგორც აჭარლებს და სხვა კუთხის მცხოვრებლებს მოეწონებათ: მტკიცე ერთობა კი ქართველი ერის სიძლიერის უმთავრესი კრიტერიუმია.

დროა, ნაცებმა თავიანთი ქმედებების, სურვილების, გეგმების, დანაშაულის საფასურად საკადრისი მოიმკან — სამაგალითოდ დაისაჯონ, რათა მათ არ მიბაძონ სხვებმა — პირადი ინტერესები ქვეყნის ინტერესებზე წინ არ დააყენონ.

ინტელიგენტებს და მათგან შესაფერის, დამადასტურებელ პასუხს მიიღებთ.

დროა, ყოყმანის პოლიტიკას ბოლო მოეღოს და ანტიქართული აზროვნებისა და მოქმედების ინდივიდები და პარტიები საკადრისად დაისაჯონ.

გივი ჯახუა,
ვაჟა ულენტი.

ეროვნული სენის რეგრესის მაჩვენებელი

თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრება იმდენად ფორიაქი ქაოტური, უცხო, შეუჩვეველი ტენდენციებით გამორჩეული რთული პროცესია, რომ, მისი მამოძრავებელი ფარული მექანიზმის უცოდინრად, საზოგადოებრივ ასპარეზზე თუნდაც მცირე წარმატების მიღწევა შეუძლებელია. ამ მეტად სპეციფიკური სფეროს ჭეშმარიტი მცოდნეები კი, ნამდვილად თითებზე ჩამოსათვლელია. ერთი ასეთი კი ჩვენი გაზეთის დიდი ხნის მეგობარი და ავტორი, დრამის მსახიობი და რეჟისორი მალხაზ ჟვანია, რომელიც წლების განმავლობაში პეტერბურგში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. აქ ის იურიდიული განათლების მიღებასთან ერთად პოლიტტექნოლოგიებსაც დაეუფლა.



მალხაზ ჟვანიასთან მეგობრული ურთიერთობა ახალგაზრდობიდან მაკავშირებს, ამდენად საუბარი სამამულო „პოლიტიკურ თეატრში“ მიმდინარე პროცესებსა და თავისებურებებზე, ერთობ გულახდილი გამოგვივიდა.

— მაოცებს და მაოგნებს საქართველოს პოლიტიკური სპექტრის პროფესიულ-ორგანიზაციული კომპეტენცია, უფრო სწორად კი, კომპეტენტურობის დაბალი დონე, უკვე რვა წელი შესრულდა, რაც სამშობლოში დავბრუნდი და ამ შეშფოთებით გამოწვეული ემოციურობა თითქოს დიდი ხანია, უნდა შეცვლილიყო მშვიდი შინაგანი კონსტატირებით, რომ პოლიტიკურ პარტიებში საკუთარი უვიცობის და თავდაჯერებულობის კრიტიკულ გააზრებას ვერ მოვესწრები. მაგრამ ეს შინაგანი სიმშვიდე ვერა და ვერ მოვიპოვე — პროფესიული უსუსურობა მაღიზიანებს და თან მაშინებს კიდეც, ვინაიდან ასეთი ნაკლის აღმოფხვრის სურვილი ეტყობა, ჩვენს ცხოვრებაში მეტად მცირეა.

— მაინც რამ განაპირობა შენი, ასე ვთქვათ, წმინდა წყლის „თეატრალური კაცის“ პოლიტიკურ ვნებათაღელვაში ჩართვა?

— ჩემმა ხასიათმა — ცნობისმოყვარეობამ. პოლიტიკურმა ტექნოლოგიამ კი სრულიად შემთხვევით „მომძებნა“. 1995 წელს, პეტერბურგში, ჩემმა ძველმა მეგობარმა შემომთავაზა, გავძღოლოდი მის საარჩევნო კამპანიას რუსეთის საპარლამენტო არჩევნების ერთმანდატიან ოლქში. ადრე ის პეტერურგის საკრებულოს დეპუტატი იყო, მაგრამ ამ დროისთვის უკვე ორი საარჩევნო კამპანია წაგებული ჰქონდა. მისგან ასეთი შემოთავაზება უფრო სრული უიმედობით იყო განპირობებული, ვიდრე მოგების მოლოდინით: „მიდი, სცადე — მაინც რეჟისორი ხარ და იქნებ რამე გამოგივიდეს.“ — უხალისოდ დაიკვნესა ყოფილმა საკრებულოს წევრმა. მეც ავიღე და... სრული უიმედობით მოცული იური ნესტეროვი დუმაში „დავსვი“...

— ახალი პროფესიის „ანა-ბანის დაძლევა“ ხომ არ გაგიჭირდა?

— ჯერ გავეცანი ფორმალურ, ყველასთვის ნაცნობ და თითქოს უეჭველად აუცილებელ „კლასიკური“ ღონისძიებების ჩამონათვალს: პიკეტები, სააგიტაციო ფურცლები, ამომრჩევლებთან შეხვედრები და ა.შ. მერე დავფიქრდი რუსულ მენტალობასა და იმაზე, თუ რას წარმოადგენს დღეს (ყველა უახლესი ისტორიული ცვლილებების გათვალისწინებით) საშუალო რუსის აზროვნება.

— მაინც რის თქმა შეგიძლია მოკლედ პოლიტტექნოლოგიების ურთულეს სფეროზე და იქ მოღვაწე სპეციალისტების პროფესიონალიზმის დონეზე?

— აი, აქ მივადექით მთავარს: რით განსხვავდება პროფესიონალისგან უცოდინარი, დილეტანტი პოლიტტექნოლოგი? თუნდაც სამი ძირეული მაჩვენებლით, რომლებზეც საარჩევნო შტაბის მიერ „ზემოდან“ დანიშნულ დილეტანტს ზოგადი წარმოდგენაც არა აქვს:

1. სოციოლოგიაზე და, რაც მთავარია, მის ნაკლოვანებებზე, ხარვეზებზე;

2. ის მოყვარულის დონეზეც კი არ იცნობს სოციალურ ფსიქოლოგიას, ასევე, ზოგადად, ადამიანის ქვეცნობიერში და არაცნობიერში ვერ ერკვევა, მისთვის ნეირო-ფიზიოლოგიაც სრული ბურუსითაა მოცული და ა.შ.

3. მას არა აქვს შემოქმედებითი ფანტაზია და, ამრიგად, მოკლებულია ხატოვან აზროვნებას, იმპროვიზირების უნარს, შემოქმედებით ცნობისყვარეობას და ა.შ.

მე სამი მთავარი მაჩვენებელი დავასახელე. ამ სამიდან რომელიმე ერთზე რომ შევჩერდეთ, ექვსი აკადემიური საათი არ გვეყოფა.



— თავად ტერმინი „პოლიტტექნოლოგია“, თავისი მოჩვენებითი სიმარტივის მიუხედავად, ბევრისთვის, რამდენადაც ვიცი, ცოტა არ იყოს, „ჩინური ანბანივითაა“. მისი არსის ახსნა რამდენად შესაძლებელია მცირე საგაზეთო სტატიაში?

— თბილისში საკონსულტაციოდ დამპატიჟეს - რამდენიმე პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლს შევხვდი. სამწუხარო ისაა, რომ ყველა შეხვედრაზე მთავარ მოსაუბრედ პარტიის ე.წ. „საარჩევნო კამპანიის წამყვანი მენეჯერები“ მომეგლინნენ, ყველა მათგანი ტყუპისცალივით ერთმანეთს ჰგავდა: თითოეული გაუნათლებელი, გონებაშეზღუდული, მაგრამ თავხედი და უაღრესად თავდაჯერებული პარტიული ფუნქციონერი, ჩინოვნიკი იყო.

მახსოვს ერთი მათგანი როგორ ჩამაცივდა: „არქეტიპი, ბატონო, საიდან მოიტანეთ?“ —შევცდი და გულუბრყვილოდ ვუპასუხე — „ჩემი მოგონილი არ არის — კარლ იუნგის დამსახურებაა“-მეთქი. „ჩვენ ახლა მასთან შესახვედრად არ გვცალია“, — საქმიანად მომიგო მან. გავბრაზდი და მივახალე: „რომც გინდოდეთ, ვერ შეხვდებით და ღმერთმა გაშოროთ, მასთან შეხვედრა ნაადრევია...“

სხვა ანეკდოტური შეხვედრაც მახსენდება: კონსულტაციაზე პარტიის ლიდერის გარეგნობაზე, მის საჯარო ვერბალურ კონტაქტებზე ვლაპარაკობდი. საარჩევნო კამპანიის წამყვანი მენეჯერი კი თავაუწევლად, ბეჯითად აკონსპექტებდა ჩემს სიტყვებს. გავჩუმდი, იმანაც, როგორც იქნა, შემომხედა. „ადამიანის ანატომიას ზედმიწევნით რომ ვიცნობდე, — ტკბილად მივმართე — და მუცლის ღრუში ჩასატარებელ ქირურგიულ ოპერაციაზე ყველაფერს დაწვრილებით რომ ვიწერდე, ამ ოპერაციის გაკეთებას შევძლებდი კი? თუ გავბედავდი — ავადმყოფისთვის ეს აუცილებლად ძალიან ცუდად დამთავრდება“. წამყვანი მენეჯერი ვერაფერს მიხვდა და კითხვითვე მომიგო: „აი, თქვენ პერანგის საყელოს ერთ ღილზე გახსნა ახსენეთ, თითქოს ეს ფსიქოლოგიური აღქმისთვის რაღაცას ნიშნავს — თქვენ ფოტოგრაფიაშიც ერკვევით?“...

ამ პარტიამ არჩევნები სამარცხვინოდ წააგო.

იუმორს თავი დავანებოთ... თუმცა, იუმორიც, ირონიაც, და, თუ გნებავთ, სარკაზმიც - კარგი საზომი ინდიკატორია იმისა, თუ რა მდგომარეობაა საზოგადოებაში სახელმწიფოებრივი, თუ, პოლიტიკური პრობლემის აღქმის მხრივ.

ვინმემ იქნებ იფიქროს, რომ პოლიტიკური ორგანიზაციის სისუსტე მხოლოდ მისი შიდა პრობლემაა. ასეთი მიამიტური მიდგომა მავნე სისულელეა. პოლიტიკური პარტია საზოგადოების აქტიური ნაწილია და თუ ეს აქტიური, ენერგიული სეგმენტი უხარისხოა, ჩამორჩენილი, მისი გავლენა საზოგადოების თუნდაც მცირე ნაწილზე ეროვნული სენის ტოლფასია, რომელიც ან სამკურნალოა, ან გასანადგურებელი.

ამ შემთხვევაში შემოქმედებითი მიდგომა, ალბათ, გადამწყვეტია. რასაკვირველია, ეს არავითარ გარანტიას არ იძლევა, მაგრამ წარმატების შანსი შეუდარებლად იზრდება. საარჩევნო კამპანიის სცენარი-გეგმა, პრაქტიკულად, პიესის მაგვარი რამაა. სცენარი-გეგმა, შესაძლოა, კარგი იყოს ან ტრაფარეტული — საშუალო დონის. მე, ჩემი გუნდისთვის, ხშირად მითქვამს: „ჩვენი გეგმა პარტიტურაა — როგორ შესრულდება ის, მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული“. ისიც უნდა ითქვას, რომ დრამატული პიესისგან ან პარტიტურისგან განსხვავებით, საარჩევნო სცენარი-გეგმა შესაძლოა, რადიკალურად შეიცვალოს, თუ საარჩევნო კამპანიის რომელიმე ეტაპზე ქვეყანაში ან საარჩევნო ოლქში რაიმე მკვეთრად შეიცვალა და სათანადო რეაგირებისკენ გვიბიძგა. ამიტომაც სწორედ შემოქმედებით მიდგომას გავუსვი ხაზი — სხარტი იმპროვიზირების უნარს ვგულისხმობ.

რასაკვირველია, საბოლოო ჯამში, პოლიტტექნოლოგია ელექტორატით მანიპულირებაა ისევე, როგორც ნებისმიერი ხარისხიანი მხატვრული ნაწარმოები, რომელიც მაყურებელზე, მსმენელზე, მკითხველზე ზეგავლენას ახდენს, პიროვნულად ოდნავ მაინც ცვლის მას და, ამრიგად, გარკვეული მიმართულებით დაფიქრებისკენ, ქმედებისკენ უბიძგებს.

პოლიტტექნოლოგიაში არსებობს მიუღებელი ილეთები. მაგალითად: მე ულტრაბგერითი ზეგავლენა, ნეიროლინგვისტური პროგრამირება და სუბლიმინალური გზავნილი — ე.წ. „25-ე კადრი“ — არასოდეს გამომიყენებია. კიდევ კარგი რომ პარტიულ ჩინოვნიკებს (დარწმუნებული ვარ) ამაზე არაფერი გაუგიათ, თორემ ვაი, ჩვენს დღეს, რატომ ვაი? ამასთან დაკავშირებით ერთი ტრაგი-კომიკური შემთხვევა მახსენდება. ახალგაზრდა და ამბიციურმა თეატრალურმა რეჟისორმა, თავის წარმოდგენაში ულტრაბგერითი ზეგავლენა გამოიყენა. მაყურებელი გაურკვეველმა, გაუგებარმა პანიკურმა შიშმა მოიცვა —- ნახევარზე მეტმა დარბაზი დატოვა. კომიკურობა კი იმაში გამოვლინდა, რომ მსახიობთა ნაწილმაც კულისებს თავი შეაფარა. ის მსახიობები მერე გამოვკითხე და არც ერთმა არ გამიმხილა საკუთარი შიშის შეგრძნება - უბრალოდ შეუძლოდ გავხდითო, მეუბნებოდნენ...

მაგრამ, მოდით დავუბრუნდეთ პოლიტიკოსების ინტელექტუალურ-ორგანიზაციულ უსუსურობას, რომელიც, ჩემი რწმენით, საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის დიდად სამარცხვინო და საზიანოა.

ერთხელ უკვე ვახსენე და გავიმეორებ, რომ ნებისმიერი პოლიტიკური პარტია საზოგადოების აქტიური ნაწილია და, რაგინდ აკრიტიკებდეს მას საზოგადოების უმრავლესობა, ის მაინც ადამიანებზე ზეგავლენას ახდენს. ჩვენი საუბრის თემიდან გამომდინარე ერთი ადამიანური თვისება აუცილებლადაა დასაზუსტებელი: პრიმიტივიზმი ზოგჯერ სასაცილოა, ზოგჯერ კი საზიზღარი, ხან შემტევია ხან პირიქით, თითქოს სრულიად უვნებელი. მაგრამ ის ყველა შემთხვევაში ადამიანისთვის არაცნობიერად „არსებობის იოლი, ანუ უფრო კომფორტული გზაა“ და მხოლოდ ამიტომაა მავნე და საშიში, ვინაიდან ადამიანზე ვირუსივით მოქმედებს. მას თითქოს გრძნობენ, აკრიტიკებენ კიდეც, მაგრამ ნელ-ნელა იწყებენ შინაგანად გაუბრალოებას — პრიმიტივდებიან: ასე ცხოვრება ხომ უფრო იოლია... ეს რეგრესის მკვეთრი ნიშნებია.

ამიტომ და მხოლოდ ამიტომ ვიმეორებ: პოლიტიკოსების ინტელექტუალურ-ორგანიზაციული უსუსურობა ეროვნული სენის, რეგრესის მაჩვენებელია, რომელიც ან სამკურნალოა ან მოსაშორებელი.

ოთარ ტურაბელიძე

ოკუპირებულ „სამხრეთ ოსეთში“ მიმდინარე პროცესებზე ჩვენი პასუხი არის სამხედრო მზადყოფნის გაძლიერება

თავდაცვის მინისტრის ლევან იზორიას შეფასებით, ოკუპირებულ „სამხრეთ ოსეთში“ მიმდინარე პროცესები დიდი გამოწვევაა, რაზეც პასუხი სამხედრო მზადყოფნის გაძლიერებაა.

„ბუნებრივია, ეს არის ჩვენი დიდი გამოწვევა. აბსოლუტურად ვიზიარებ ამ შეფასებას. ეს არ არის მხოლოდ თავდაცვის უწყების შეფასება. ეს არის ყველა პატრიოტი ქართველის შეფასება და ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერის გამოხატულება, როდესაც ამ დიდ გამოწვევებს ერთად უნდა გავუმკლავდეთ. ჩვენი პასუხი ამ გამოწვევაზე და ჩვენი ამოცანა არის ჩვენი სამხედრო მზადყოფნის გაძლიერება. სწორედ აღნიშნული სიძლიერე ამცირებს პოტენციური აგრესორის თავდასხმის რისკებს. ჩვენი სიძლიერე არის თავდაცვის საუკეთესო საშუალება და აგრესიის თავიდან აცილების საუკეთესო საშუალება“, — განაცხადა ლევან იზორიამ.

ნიკოლაი სტარიკოვი

ცილდაწამებული გენერალისიმუსი

ვიხსენებთ ერთად



დრო ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს. დრო იძლევა მწერლის შემოქმედების შეფასებას თავისი ხალხისთვის და მსოფლიო ლიტერატურისთვის. დღეს ერთმანეთის გვერდით დავაყენოთ მიხეილ ბულგაკოვისა და დემიან ბედნის სახელები, შეუძლებელია. ერთი გახდა კლასიკოსი, მეორე პრაქტიკულად დავიწყებულია, მაგრამ XX საუკუნის დასაწყისში საქმე სულაც არ ყოფილა ასე. ერთი ხომ წერდა პოლიტიკურად გამართლებულ ლექსებს, მეორე — „თეთრგვარდიულ“ რომანებსა და პიესებს.

დემიან ბედნი (ნამდვილი სახელი — ეფიმ ალექსის ძე პროდვოროვი) იყო რსდმპ (ბ)-ის წევრი 1912 წლიდან. ის იყო „ძველი ბოლშევიკი“, ესე იგი, პარტიაში შევიდა დიდი ხნით ადრე მანამდე, ვიდრე ეს პარტია მოვიდოდა ხელისუფლებაში 1917 წლის ოქტომბერში. ის იცნობდა საბჭოთა რუსეთის მთელ ხელმძღვანელობას იმ პერიოდში, როდესაც ისინი იატაკქვეშეთელები იყვნენ. სწორედ ამიტომ სტალინის უახლოესი თანამებრძოლი ვიაჩესლავ მოლოტოვი იხსენებს დემიან ბედნის, როგორც ძველ ამხანაგს:

„მივდივარ ლიტეინიაზე პიტერში, მხვდება ძველი ნაცნობი დემიან ბედნი. ვისაუბრეთ, მან მიმიყვანა თავისთან სამსახურში — მუშაობდა რომელიღაც კადეტთა საზოგადოებრივ კომიტეტში. მას აქვს დიდი კაბინეტი, ბატონივით ზის.

„როგორ ცხოვრობ?“ — მეკითხება. „არალეგალურ მდგომარეობაში. პასპორტით — იაკობ მიხეილის ძე კარაკურჩი“. — „ვინ ხარ?“

ვუამბე, ვის სახელსაც ვატარებ, ისიც სტუდენტია, თუმცა კუზიანი, მელიტოპოლის მაზრიდან. ერთმა ჩემმა ამხანაგმა გამაცნო იგი. ის დათანხმდა მოეცა ჩემთვის პასპორტი — მას სტუდენტის შესახედაობა ჰქონდა. იყო მისი მაზრიდან.

„მაშ შენ კუზიანი ხარ?“ — იცინის დემიანი. მხიარული კაცი იყო. ვერაფერს იტყვი, კარგად იყო მოწყობილი“...

დემიან ბედნის სახელი ჩვენ შეიძლება ვნახოთ სტალინის თხზულებათა სრულ კრებულში.

„ეს იყო 1912 წლის აპრილის შუა რიცხვებში, საღამოს, ამხ. პოლეტაევის ბინაზე, სადაც დუმის ორი დეპუტატი (პოკროვსკი და პოლეტაევი), ორი ლიტერატორი (ოსმინსკი და ბატურინი) და მე, ცენტრალური კომიტეტის წევრი

დემიან ბედნი.

(მე, როგორც არალეგალი, ვიჯექი „ხელშეუხებელ“ პოლეტაევთან), შევთანხმდით „პრავდის“ პლატფორმის შესახებ და შევადგინეთ გაზეთის პირველი ნომერი. არ მახსოვს, ესწრებოდა თუ არა ამ თათბირს „პრავდის“ უახლოესი თანამშრომლები — დემიან ბედნი და დანილოვი“.

ამ მოკლე ამონაწერიდან შეგვიძლია გავიგოთ, რომ დემიან ბედნი ესწრებოდა დასაწყისის დასაწყისს გაზეთ „პრავდის“ პირველი ნომრის შექმნას. კობასთან ერთად იყო ამხანაგი ბედნი 1917 წლის რთულ ივლისის დღეებში. როგორც შემდეგ თავად „პროლეტარული მწერალი ყვებოდა, ის იჯდა „პრავდის“ რედაქციაში და ესაუბრებოდა სტალინს. უცბად გაისმა ტელეფონის ზარი, და ყურმილი სტალინმა აიღო. რეკავდა ერთი მეზღვაური კრონშტადტიდან. ითხოვდა რჩევას, თუ როგორ მოქცეულიყო: საჭიროა თუ არა მეზღვაურები გამოცხადნენ პეტერბურგში დემონსტრაციაზე შეიარაღებულები თუ უიარაღოდ? შემდეგ დემიან ბედნი აღფრთოვანებით უყვებოდა ყველას, თუ როგორ უპასუხა ასეთ რთულ შეკითხვას სტალინმა.

„სტალინი, რომელიც ეწეოდა ყალიონს და ისწორებდა ულვაშებს, ერთ წუთს დაფიქრდა, შემდეგ გვიპასუხა, რამაც ბედნის უნებლიე ხარხარი გამოიწვია. „აი, ჩვენ წერის მოყვარულები, — თქვა სტალინმა, — ჩვენს ისეთ იარაღს, როგორიცაა ფანქარი, ყოველთვის თან დავატარებთ... იქ კი ის, როგორც უნდა იყოთ, თქვენ უკეთ გეცოდინებათ!“ როგორც აღფრთოვანებით აღნიშნა ბედნიმ, სტალინმა არ დაიწყო მეზღვაურებისთვის კონკრეტული რეკომენდაციების მიცემა — წადით დემონსტრაციაზე შეიარაღებულები, მაგრამ ასეთი რჩევა არაორაზროვნად იგულისხმებოდა. დემონსტრაციის წარუმატებლობის შემთხვევაში ვერავის შეეძლო ბრალი დაედო სტალინისთვის იმაში, რომ ის მოუწოდებდა გამოეყენებინათ იარაღი მთავრობის წინააღმდეგ, სწორედ ამ პასუხმა გამოიწვია ბედნის აღტაცება სტალინური „ეშმაკობით“.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №69-76

სტალინის თხზულებათა კრებულში ჩვენ შეგვიძლია, ვნახოთ კიდევ ბელადის წერილები დემიან ბედნისადმი. და ისინი მეტად დამახასიათებელია სტალინის მსოფლმხედველობის გაგებისათვის, მისი დამოკიდებულება კულტურისა და მისი მოღვაწეებისადმი. საქმე ის იყო, რომ ყველაფერ რუსულის, ყოველივე „მეფურის“ მლანძღავი დემიან ბედნი კვლავ ასე აგრძელებდა „ლანძღვას“. დრო კი შეიცვალა: ბოლშევიკების პარტია იკრებდა გონებას. ეს ლენინი აქებდა ადრე დემიან ბედნის, ამბობდა, რომ ეს „არის ნამდვილად პროლეტარული შემოქმედება“. და ისიც ხომ იყო, რისთვის ექოთ ამხანაგი ბედნი. რუსული დაპირისპირების წლებში პოეტმა გამოუშვა ლექსების დაახლოებით ოცდაათი წიგნი. იგავები, ზღაპრები, პოემები, შაირები. სამოქალაქო ომი პროპაგანდის ომი იყო: გადაარწმუნებდი ისეთივე რუსებს, რომლებიც მოწინააღმდეგის არმიებში იყვნენ, მაშასადამე, მიიღე ახალი ჯარისკაცები.

ბედნის ლექსები პროპაგანდისტული თვალსაზრისით მეტად სასარგებლო იყო, ამიტომ 1920-იან წლებში მის სახელს ანიჭებდნენ ფაბრიკებსა და კოლმეურნეობებს. 1923 წლის 24 აპრილს მწერალს აჯილდოებენ წითელი დროშის ორდენით. მშრომელი ხალხის გმირმა, პროლეტარულმა მწერალმა დემიან ბედნიმ საბჭოთა ხელისუფლებისგან მიიღო ცალკე ბინა როჟდესტვენსკის ბულვარზე, თითქოსდა თავისი უზარმაზარი ბიბლიოთეკის განსათავსებლად. ვლადიმერ მაიაკოვსკი მეტად ზუსტად აღნიშნავდა, რომ დემიან ბედნის ლექსები — ესაა სწორად გაგებული სოციალური დაკვეთა დღეისთვის, თვალნათელი მიზნობრივი დასახულობა“...

* * *

მეტად საყურადღებო იყო სტალინის დამოკიდებულება კინემატოგრაფიისადმი. მით უმეტეს, რომ სტალინს კინო უყვარდა. ზოგიერთ ფილმს მრავალგზის ნახულობდა. ესმოდა რა კინემატოგრაფის უმნიშვნელოვანესი როლი აღზრდის საქმეში, კინოს ანიჭებდა მეტად დიდ მნიშვნელობას. აი რამდენიმე ისტორია, რომლებიც ამასთანაა დაკავშირებული. სტალინი ნახულობდა სსრ კავშირში გამოშვებულ ყველა სურათს (მაშინ საკმაოდ ცოტა ფილმებს უშვებდნენ და ეს შესაძლებელი იყო).

„ჰყვებიან ასეთ ისტორიას: ერთხელ, როდესაც ისტორიულ-რევოლუციური ფილმი ნახა, მან უცებ ძველი პოლიტკატორღელის მეორეხარისხოვანი სახიდან და საკმაოდ მკვეთრად დაიწყო ლაპარაკი, რომ იცის ასეთი ადამიანები და ისინი სრულიად სხვაგვარები არიან, შემდეგ მისი ტონი მთლიანად შეიცვალა — დაიწყო ღირსებათა ჩამოთვლა, და ყველაფერი იმით გაგრძელდა, რომ ფილმი კარგია და საჭირო. დასასრულ სტალინს სურდა მადლობა გადაეხადა რეჟისორისთვის. ყველა დამსწრემ თავის ქნევა დაიწყო — რეჟისორიც, მეტად ცნობილი და პატივსაცემი, მიწვეული იყო ჩვენებაზე. მაგრამ აღმოჩნდა, რომ რეჟისორი ადგილზე არაა. და საერთოდ არც დარბაზშია. ის გაქრა. არადა, არც არავინ შემოსულა და არც გასულა. როგორ შეეძლო ადამიანს უგზოუკვლოდ გამქრალიყო? დავიწყეთ სავარძლების ქვეშ ყურება და რეჟისორი აღმოვაჩინეთ რიგებს შორის ღრმად გულწასული. მან გონება დაკარგა, როგორც კი სტალინმა სკეპტიკურად დაიწყო საუბარი ძველ პოლიტკატორღელზე, შემდეგ აღარაფერი გაუგონია“ (ა. იაგუნკოვას წიგნიდან „სერგეი გერასიმოვი და თამარა მაკაროვა“).

იქნებ სტალინს გაეხარდა ასეთი შიში თავისი პერსონის წინაშე? სულაც არა. ვკითხულობთ შემდეგ: **„სტალინი რამდენადმე შეშფოთებული იყო, გულდაწყვეტილი და ითხოვდა, სხვა დროს ასეთ ჩვენებებზე რეჟისორები აღარ მოეწვიათ. ასე რომ, „ახალგაზრდა გვარდია“ ვნახეთ გერასიმოვის გარეშე“.**

ამ ფილმს კი, რომელიც საბჭოთა კინემატოგრაფის კლასიკად იქცა, სტალინი აკრიტიკებდა, და მეტად მკაცრადაც. ჯერ ერთი, იმის გამო, რომ მასში კომუნისტები ნაჩვენებია დამარცხებულები და უსუსურები. „რაზე მეტყველებენ ისინი? „სტალინი რომ არა, ჩვენ სად ვიქნებოდით?“ მართლაც, სად არიან ისინი — ციხეში! და შემდეგ „ჩვენთან იქნებოდა ისევე, როგორც ჩინეთში“. ჩინეთში განმათავისუფლებელი ომია. რა შეიძლება ასწავლონ ასეთმა კომუნისტებმა? მეორეც, არასწორადაა ნაჩვენები ევაკუაცია: ეს რა გაქცევაა? ჩვენი ქარხნები, ჩვენი ხალხი ევაკუირებული იყო ორგანიზებულად და გეგმაზომიერად. საიდანაა ასეთი ფაქტები? ეს ისტორიულად არასწორია. მესამეც, ფილმი გაჭიანურებულია“.

საჩვენებელია რეჟისორ გერასიმოვის რეაქცია. მას გული არ წასვლია. ის სტალინს... აწყვეტინებს. ის ედავება სტალინს, თავად კი იხსენებს ამას ასე:

„მე აქ შევაწყვეტინე:

— ეს არის რომანი, რომელიც უყვართ და კითხულობენ; იგი სამამულო წიგნი გახდა.უნდა გაჰყვე რომანს, მაშასადამე საჭიროა ორი სერია... ერთ სერიად არ შეიძლება. ვერ ვიკისრებ.

სტალინი გვერდზე გადგა და ჩიბუხი გაავსო — მის პატარა მაგიდაზე ეწყო „ჰერცოგოვინა ფლორის“ კოლოფები.

— იდიოტო, ვის ედავები? — წასჩურჩულა ბერიამ.

— მაშ ასე, — თქვა სტალინმა, — მოვუსმინოთ გერასიმოვს.

მე დავიწყე ლაპარაკი. ვლაპარაკობდი უჩვეულოდ დიდხანს და გაცხარებით, ვშლიდი წიგნს, ვახდენდი რაღაცის ციტირებას — ვუდასტურებდი, რომ, არსებითად, ჩვენს წინაშეა ეპოსი და არ შეიძლება ამოვაგდოთ ფილმიდან მასობრივი სახალხო სცენები, ევაკუაცია და უკან დახევა, წინააღმდეგ შემთხვევაში არ გაჟღერდება წინააღმდეგობის თემა. და საერთოდ, არ შეიძლება ორი სერია ერთ სერიად ვაქციოთ, მით უმეტეს, რომ მოგიწევს ზოგი რამის ხელახლა გადაღება. დაბოლოს, მე გამიშრა ყელი, რომ გავჩუმდი. სტალინი ინტერესით მიყურებდა — ეს ვინ აპირებს მისთვის წინააღმდეგობის გაწევას? შიში არ მქონია — იყო ინტუიტური შეგრძნება, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდება.

სტალინმა თქვა:

— აი როგორი ჯიუტი ადამიანია. რას იზამ, მივცეთ მას ნება გააკეთოს ორი სერია? დაე, იმუშაოს. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ დროზე გავუსწორეთ მას. სჯობია, ვისაუბროთ აქ, ვიწრო წრეში, თავიდან ავიცილოთ შეცდომები, ვიდრე ველოდოთ, სანამ ეს შეცდომები გახდებოდეს საყოველთაო განხილვის საგანი.

მუშაობა ფილმზე გაგრძელდა. შესწორებების გათვალისწინებით გადაკეთდა პირველი სერია და ხელახლა ვიღებდით მეორე სერიას“.

საქმისთვის სასარგებლო ჯანსაღი აზრი — აი სტალინის ქცევისა და გამონათქვამების მთავარი კრიტერიუმები არა მხოლოდ პოლიტიკაში, არამედ ხელოვნების სფეროშიც. მეტად ნიშანდობლივია კიდევ ერთი ისტორია — იმის შესახებ, თუ როგორ დართო სტალინმა რეჟისორ სემიონ ტიმოშენკოს ფილმ „სამი ამხანაგის“ გადაღების ნება. ეს სურათი გამოვიდა 1935 წელს. ღირს გავიხსენოთ, რომ 1934 წლის დეკემბერში მოკლეს სერგეი მირონის ძე კიროვი. დღეს მის სიკვდილში სტალინს ადანაშაულებენ, რაც

სერგეი გერასიმოვი.

კოლოსალური სიცრუე და წარმოუდგენელი სისულელეა, მაგრამ მისი გარდაცვალების შესახებ. ცოტა მოგვიანებით ვისაუბრებთ. კიროვი სტალინის უახლოესი მეგობარი იყო, ფაქტობრივად — მისი მაშინდელი მემკვიდრე. ამ რთულ ვითარებაში ეკრანებზე გამოდის ფილმი, რომელშიც ვიღაც უარყოფითი პერსონაჟი გვარად ზაიცევი, რომელმაც ბაზარზე კიტრის მწნილი იყიდა, ის ჟურნალ „ბოლშევიკში“ გაახვია. სტალინი პირადად უყურებს ფილმს 1934 წლის დეკემბრის ბოლოს (ესე იგი, უმალვე მკვლელობის შემდეგ!), ხედავს ამ მომენტს. რა უნდა გაკეთდეს? რთავს ფილმის გაქირავების ნებას. სურათის სისრულისათვის უნდა დავუმატოთ, რომ ყველაფერი ხდება ხმოვანი ჟურნალის „სოიუზკინოქრონიკის“ განხილვის შემდეგ, კერძოდ, დოკუმენტური რეპორტაჟისა კიროვთან გამოთხოვების შესახებ.

თარგმნა
ზურაბ ლომიძემ

(გაგრძელება იქნება)

◎ ᲨᲘᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲚᲘ

ᲑᲘᲑᲘᲚᲝᲕᲘᲡ ᲘᲓᲔᲐ „ᲝᲠᲘ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ“ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲡᲐᲔᲭᲕᲝ ᲩᲐᲜᲡ

ᲠᲣᲡᲣᲚ **გამოცემა „Московский комсомолец“-ის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში გადმოცემულია „სამხრეთ ოსეთში“ ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები: „ანატოლი ბიბილოვის გამარჯვებას ექსპერტები წინასწარმეტყველებდნენ, თუმცა მის წარმატებას უფრო მეტად მეორე ტურში ელოდებოდნენ. არჩევნების შედეგები იმას მოწმობს, რომ კრემლის პოლიტტექნოლოგებმა კარგად აითვისეს „შეცდომებზე სწავლა“ და ახლა უკვე წაგებას აღარ შეურიგდებიან“, — ნათქვამია სტატიაში (ავტორი — მარინა პერევოზკინა).**

პუბლიკაციაში ყურადღება ეთმობა ანატოლი ბიბილოვის პოლიტიკური საქმიანობის ზოგიერთ მომენტს, კერძოდ, 2011 წელს ჩატარებულ სკანდალურ „საპრეზიდენტო არჩევნებს“, როცა იგი, როგორც „კრემლის კანდიდატი“, ოპოზიციონერ ალა ჯიოევას დაუპირისპირდა... იმ დროს კრემლის პოლიტიკამ ფიასკო განიცადა. განმეორებით საპრეზიდენტო არჩევნებში, 2012 წლის გაზაფხულზე, პრეზიდენტად ლეონიდ თიბილოვი აირჩიეს, რომელიც ერთგვარ კომპრომისულ ფიგურას წარმოადგენდა. მას „რესპუბლიკაში“ დაძაბულობა უნდა განემუხტა. ლეონიდ თიბილოვმა ამოცანის შესრულება შეძლო. მან ოპოზიციის ნეიტრალიზება მოახერხა, ალა ჯიოევა ვიცეპრემიერად დანიშნა. ანატოლი ბიბილოვი წაგებას არ შეურიგდა და ბოლო წლებში „პოლიტიკურ კუნთებს“ აქტიურად აძლიერებდა: შექმნა პარტია „ერთიანი ოსეთი“, რომელმაც საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა, ხოლო თვითონ ანატოლი ბიბილოვი სპიკერად აირჩიეს.

ანატოლი ბიბილოვისა და ლეონიდ ჩიბიროვის პროგრამები ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდება: ორივენი პრორუსული პოლიტიკის გამტარებლები არიან და მჭიდრო ინტეგრაცია სურთ. ანატოლი ბიბილოვი ჯერ კიდევ წინა წლებში აცხადებდა, რომ თავის სტრატეგიულ მიზნად რუსეთის შემადგენლობაში გაერთიანებას თვლის. ინიციატივა კი რეფერენდუმის გამართვის თაობაზე, რომელიც, პრინციპში, იგივე მიზნისთვის ნიადაგს ამზადებს, ლეონიდ თიბილოვს ეკუთვნის. ასე რომ, მოსკოვისათვის სულ ერთი იყო, ვინ გაიმარჯვებდა, კრემლს ორივე კანდიდატი აწყობდა. თუმცა არის ორიოდე ნიუანსი: ანატოლი ბიბილოვის გამარჯვებით

კრემლის პოლიტტექნოლოგებმა 2011 წლის სირცხვილი „ჩამოირეცხეს“. იგივე მოხდა აფხაზეთში 2004 წელს, როცა „კრემლის კანდიდატი“ რაულ ხაჯიმბა ჯერ სერგეი ბაღაფშთან ბრძოლაში დამარცხდა, მაგრამ მოგვიანებით იგი მაინც გახდა პრეზიდენტი. იგივე მოხდა დნესტრისპირეთში 2011 წელს... მოკლედ, დასკვნა ასეთია: კრემლის ამჟამინდელი მკვიდრნი წაგებას არ ურიგდებიან და ყოველთვის ბრუნდებიან ვალების გასასტუმრებლად.

* * *

რას ამბობენ ექსპერტები რეფერენდუმის შედეგებზე („სამხრეთ ოსეთი“// „ალანეთის სახელმწიფო“) და ორი ოსეთის გაერთიანების პერსპექტივის შესახებ?

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲘᲠ ᲜᲝᲕᲘᲙᲝᲕᲘ, შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების კვლევის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი:

„მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთელმა ოსებმა, ჩრდილოელების მსგავსად, თავიანთი წინაპრების სახელის დამკვიდრება მოისურვეს, ეს მაინც არ ნიშნავს იმას, რომ დღის წესრიგში ორივე ოსეთის გაერთიანება დგას. ანატოლი ბიბილოვის იდეა საკმაოდ საეჭვო ჩანს. გარდა ამისა, სამხრეთ ოსეთისათვის სახელწოდების შეცვლა საქართველოსთვის კიდევ ერთი გამღიზიანებელი ფაქტორი იქნება — თბილისი რეგიონის დაკარგვას არ შეეგუება“.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲡᲙᲐᲙᲝᲕᲘ, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის კავკასიისა და ცენტრალური აზიის შემსწავლელი ინსტიტუტის კოორდინატორი:

„მთავარი ის კი არაა, თუ რა ერქმევა სამხრეთ ოსეთს, არამედ ის, თუ როგორ ვითარდება ეკონომიკა, რაც რესპუბლიკისათვის ძალიან მძიმე პრობლემას წარმოადგენს. იქ არიან პოლიტიკოსები და ე.წ. გავლენის ჯგუფები, მაგრამ რეგიონის კრიზისიდან გამოყვანის რეალური გეგმა არც ერთს არ გაჩნია. რაც შეეხება ალანთა ისტორიულ მემკვიდრეობას, ეს ყველაფერი თამაშებია და რეალობასთან არანაირი კავშირი არ აქვს... ასეთ რაღაცებზე თამაშობენ, რადგან არ იციან პრობლემები როგორ მოაგვარონ. ამას თვითონ ოსებიც კარგად ხვდებიან, მაგრამ რა ქნან, როცა მოსახლეობის ნახევარს ან უფრო მეტს მართლაც სურთ რუსეთის შემადგენლობაში შესვლა? აი, ამისთვის მოსკოვი ჯერ მზად არ არის და აჩქარება ამ საკითხში ზიანის მომტანი იქნება“.

„MK.RU“ (ᲠᲣᲡᲔᲗᲘ)

ᲤᲡᲔᲕᲓᲝᲒᲐᲓᲐᲠᲥᲛᲔᲕᲐ

ᲡᲔᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲡ ᲐᲜᲘᲐᲕᲔᲑᲔᲜ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲪᲣᲓᲘ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ ᲒᲐᲓᲐᲛᲓᲔᲑᲘᲐ

„ᲫᲐᲠᲐᲑᲐᲚᲔᲚᲘ **სეპარატისტების მსგავსად, „თავიანთი სახელმწიფოსთვის“ სახელის გადარქმევა მათმა უბედურმა მეგობრებმაც — ე.წ. „სამხრეთ ოსებმაც“ მოისურვეს“, — ნათქვამია სტატიაში, რომელშიც აზერბაიჯანელი მკითხველი საქართველოს შიდა ქართლის რეგიონში (ცხინვალის რეგიონში) ოსი სეპარატისტების მიერ ჩატარებულ ეგრეთ წოდებულ საპრეზიდენტო არჩევნებისა და სახელწოდების შეცვლის მიზნით ჩატარებული რეფერენდუმის შედეგებს ეცნობა (ავტორი — რაუფ ორუჯევი).**

პუბლიკაციაში ვრცლადაა გადმოცემული სახელის გადარქმევის იდეის წინ ისტორია, ოსი სეპარატისტების ჩანაფიქრი, საერთშორისო თანამეგობრობის მიერ საპრეზიდენტო არჩევნებისა და რეფერენდუმის მიმართ გამოხატული ნეგატიური რეაქცია, მომხდარი ფაქტების დაგმობა და სხვა მომენტები. ხაზგასმულია ოსი სეპარატისტების ამორალური ქცევა, რომლებმაც თავიანთი არჩევნები და რეფერენდუმი ქართველი ხალხისათვის მნიშვნელოვან დღეს — ცხრა აპრილს დაამთხვიეს.

„აქვე იმასაც ვიტყვით, რომ სახელწოდების შეცვლა უფრო ადრე ყარაბაღელმა სომხებმაც მოისურვეს და მათ 20 თებერვალს რეფერენდუმი ჩაატარეს, რომლის მიხედვით, „მთიან ყარაბაღს“ „არცახის რესპუბლიკა“ უწოდეს, „თუმცა ეს ცვლილება მხოლოდ სეპარატისტთა ცხელ თავებში დარჩება“. საინტერესოა, რაში ჭირდებათ მათ ეს რეფერენდუმები? გასაგებია, რომ ყველა იმ პოლიტიკოსს, რომლებიც თვითგამოცხადებული წარმონაქმნების ხელმძღვანელები არიან, თავიანთი ამბიციები აქვთ, მაგრამ ღონისძიებების ორგანიზაციას ხომ თანხები ჭირდება? რატომ ხარჯავენ ისინი ფულს ამ უსარგებლო ხმის მიცემებზე, არჩევნებსა და რეფერენდუმებზე? ამგვარ კითხვებზე ამომწურავი პასუხის გაცემა შეუძლებელია, — აღნიშნავს „ᲗᲘᲗᲘᲗᲘ“-ს კორესპონდენტი და კომენტარისათვის **კავკასიის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის პოლიტიკურ ანალიტიკოსს ᲒᲔᲚᲐ ᲕᲐᲡᲐᲫᲔᲡ** მიმართავს:

„რეფერენდუმი ყირიმული ანექსიის გაგრძელებაა. ცხინვალელ კოლაბორაციონისტებს ძალიან უნდათ რუსული ელიტის ნაწილი გახდნენ და მათი თამაშის წესებით ითამაშონ. მაგრამ კრემლს ეს არ სურს, რადგან რუსეთს ისედაც რთული საერთაშორისო მდგომარეობა კიდევ უფრო გაუმწვავდება. გამორიცხული არაა დამატებითი სანქციების გამოცხადებაც. საერთოდ კი, მოსკოვს ცხინვალის რეგიონის ანექსია რომ სდომებოდა, ამას დიდი ხნის წინათ გააკეთებდა და არც არავის შეეკითხებოდა. ასე რომ, ეს უფრო ადგილობრივი ინიციატივა მგონია და საეჭვოა, მას კრემლმა მხარი დაუჭიროს. სიტუაცია მხოლოდ დასავლეთთან ურთიერთობის მკვეთრად გაურესებამ შეიძლება შეცვალოს, რაც, პრინციპში, მოსალოდნელიც კი არის“, — ამბობს გელა ვასაძე.

როგორც **პოლიტოლოგმა ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲐᲑᲚᲝᲗᲘᲐᲛ** გვითხრა, იგი სამხრეთ ოსეთისათვის სახელწოდების „ალანეთად“ გადარქმევაში რაიმე მნიშვნელოვან აზრს ვერ ხედავს:

„უბრალოდ, ოსები თვლიან, რომ ძველი ალანების შთამომავლები არიან. ჩრდილოეთ ოსეთმა ჯერ კიდევ წლების წინ დაირქვა ასეთი სახელი — „ჩრდილოეთ ოსეთი — ალანეთი“. ჰოდა, სამხრეთელებმაც იგივე მოისურვეს, ანუ, ასე ვთქვათ, „ისტორიული სამართლიანობის აღდგენა“. პრაქტიკული შედეგი ამგვარი გადაწყვეტილებისგან იგივეა, რაც ქალაქის სახელის შეცვლას მოსდევს, ანუ ძალიან პირობითი და სიმბოლური. ალბათ, ოსებისთვის ამას აქვს მნიშვნელობა. ჩვენს დროში სიმბოლოებიც საჭიროა“.

„kaspiy“(ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘ)

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს მანანა ყიფიანის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მანანა ყიფიანი (პ/ნ 60001002885), ქუთაისი, რუას ქ. №17.
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქუთაისი, ნიკეას ქ. მე-2 შესახვევი №15, ბინა №27 (საკადასტრო კოდი: 03.05.02.053.01.027).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 40380.87 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 12 აპრილი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 28 აპრილი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP42640417;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 426404
6. **მოვალე:** ბაქარ ყიფიანი (პ/ნ 60001027213), ქუთაისი, რუას ქ. №17.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP42640417; ლოტის ნომერი: 426404).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 27 აპრილის, 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 28 მარტის №1-1/112 ბრძანების შესაბამისად

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროექტის ფარგლებში აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით ახორციელებს თბილისი - წითელი ხიდის საავტომობილო გზის (თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალის) რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის პროექტს, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიმართულებით დაგეგმილ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პროექტს.

თბილისი-რუსთავის მონაკვეთი წარმოადგენს თბილისი-წითელი ხიდის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) ჩქაროსნული გზის ნაწილს. თბილისი-რუსთავის მონაკვეთი სამი ნაწილისაგან შედგება. პროექტი ითვალისწინებს არსებული 17,1 კმ. სიგრძის, 2 ზოლიანი თბილისი–რუსთავის გზის მოდერნიზირებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. I –III მონაკვეთი დასრულდა. II მონაკვეთზე დამტკიცებულია მიწის გამოსყიდვისა და განსახლების გეგმა და გარემოსდაცვითი ანგარიში. მეორე მონაკვეთი (კმ. 4+000 - კმ 10+ 800) ახალი ურბანული ტიპის გზაა. ამ მონაკვეთით გათვალისწინებული არსებული გზის გაფართოვებას ძლიერი ზემოქმედება ექნებოდა, ამიტომ უპირატესობა მიენიჭა ახალი გზის მშენებლობას. გზის განივიკვეთი 4 ზოლიანია, თითოეული ზოლის სიგანე 3,75 მ, გზის სამოსი ასფალტობეტონისაა, კონსტრუქციები: სატრანსპორტო კვანძები, ორი მიწისქვეშა გზაგამტარი, ოთხი სატრანსპორტო ხიდი და ოთხი საფეხმავლო ხიდი.

თბილისი-რუსთავის სატრანსპორტო კვანძის მე-2 მონაკვეთზე (კმ. 4+000 - კმ 10+ 800) პროექტის განხორციელებისას წარმოიშვა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული, კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოს მიერ გამოსყიდვის აუცილებლობა. მესაკუთრეებს წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება მიწის შესყიდვისა და განსახლების სამოქმედო გეგმით(LARP) განსაზღვრული საკომპენსაციო თანხის სანაცვლოდ. ამავე შეტყობინებით მესაკუთრეები ინფორმირებულ იქნენ, რომ მათი უარის შემთხვევაში, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და პროექტის ფარგლებში მოქცეულ მათ საკუთრებაზე/საკუთრების ნაწილზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით მიმართავდა კანონმდებლობით დადგენილ ღონისძიებებს. სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ უძრავი ქონების გამოსყიდვის შესახებ შეთანხმება მიღწეულ იქნა მესაკუთრეების უმეტეს ნაწილთან, ხოლო შეთანხმებამიუღწეველი ქონების აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმევის საკითხი განხილულ იქნა ,,აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების მიზნით საკითხის განმხილველი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2013 წლის 17 ივნისის № 1-1/164 ბრძანებით შექმნილი ექსპროპრიაციის საკითხების განმხილველ კომისიის მიერ.

2017 წლის 28 მარტს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 1-1/112 ბრძანება **„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საქართველოს სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“,** რომლითაც ექსპროპრიაციის უფლების მისანიჭებელ სუბიექტად დადგინდა სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე)

თბილისი - წითელი ხიდის საავტომობილო გზის თბილისი-რუსთავის სატრანსპორტო კვანძის მე-2 მონაკვეთის (კმ. 4+000 - კმ 10+ 800) რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის პროექტით განსაზღვრული სამუშაოებისათვის სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს ესაჭიროება შემდეგი უძრავი ქონება:

1. ირინე არჩვაძის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, ს/კ - #01.18.12.003.011.01.021, მის. ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი #6, ბინა #21;

2. ნათია ჭყონიას საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, ს/კ - #01.18.12.003.011.01.027, მის. ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი #6, ბინა #27;

3. მარინა ალავერდაშვილის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, ს/კ-#01.18.12.003.011.01.021ა, ს/კ #01.18.12.003.011.01.515, ს/კ - #01.18.12.003.011.01.516 მის. ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი #6, ბინა #21ა;

4. იური ომარაშვილის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, ს/კ- #01.18.12.003.011.01.013, მის. ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი #6, ბინა #13;

5. ინგა ქეშიკაშვილის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, ს/კ- #01.18.12.003.011.01.029, ს/კ 01.18.12.003.001.506. მის. ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი #6, ბინა #29;

6. იზოლდა სიხუაშვილის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, ს/კ-#01.18.12.003.011.01.532, ს/კ #01.18.12.003.011.01.032ა მის. ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი #6, ბინა #32;

7. გიორგი ლომიძის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, ს/კ- #01.18.12.003.011.01.003, მის. ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი #6, ბინა #3;

8. გიორგი გედენიძის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, ს/კ- #01.18.12.003.011.01.033, #01.18.12.003.011.01.522 მის. ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი #6, ბინა #33;

9. გარი გრიგორიანის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, ს/კ- (წილი 12.00/738.00) #01.18.12.003.011.01.002, მის. ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი #6, ბინა #2;

10. ანაიდა ტაბატაძის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, სარდაფი ს/კ- #01.18.12.003.011.01.006, ს/კ #01.18.12.003.011.01.519. მის. ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი #6, ბინა #6

უძრავი ქონების მესაკუთრეებს დამატებით ეცნობებათ სასამართლოში განცხადების შეტანისა და სასამართლო განხილვის თარიღი.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს ,,ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს ,,ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს თამაზ თავართქილაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** თამაზ თავართქილაძე (პ/ნ 61001003588), ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №79/81, ბინა №6.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №79/81, სართული 2, ბინა №6 (საკადასტრო კოდი: 05.28.38.029.01.006).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 52161 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 12 აპრილი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 28 აპრილი, 14:15 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP42639617;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 426396
6. **მოვალე:** თამარ თავართქილაძე (პ/ნ 61001021550), ბათუმი, ლ. ასათიანის ქ.№79/81, ბინა №10;
თამაზ თავართქილაძე (პ/ნ 61001003588), ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №79/81, ბინა №6.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს ,,ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.

8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს ,,ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს ,,ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს ,,თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP42639617; ლოტის ნომერი: 426396).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 27 აპრილის, 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს ,,ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს ,,ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს მამუკა იოსებაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მამუკა იოსებაშვილი (პ/ნ 20001028720), თბილისი, თემქა, III მ/რ, V კვარტალი, კორპუსი 26, ბინა №21.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თბილისი, რამაზ შენგელიას ქ. №9, სართული 10, ბინა №74 (საკადასტრო კოდი: 01.11.13.002.193.02.074).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 52161 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 12 აპრილი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 28 აპრილი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP42587717;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 425877
6. **მოვალე:** მამუკა იოსებაშვილი (პ/ნ 20001028720), თბილისი, თემქა, III მ/რ, V კვარტალი, კორპუსი 26, ბინა №21.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს ,,ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს ,,ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს ,,ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს ,,თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP42587717; ლოტის ნომერი: 425877).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 27 აპრილის, 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

◎ სპორტული ტანვარჯიში

სიჭინავას ექვსი ჯილდო

კიევში ოლიმპიური ჩემპიონის — სტელა ზახაროვას თასის გათამაშებაში ახალგაზრდებს შორის თავი გამოიჩინა ბიძინა სიჭინავამ, რომელმაც ორი ვერცხლისა და ოთხი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. მრავალჭიდში მან 72.150 ქულით მესამე ადგილი დაიკავა. ამავე ტურნირზე 67.550 ქულით მეხუთე იყო ლევან სხილაძე. სიჭინავამ რგოლებზე 12.875 ქულით ვერცხლის მედალს გამოჰკრა ხელი. ქართველ სპორტსმენს უკრაინელმა ნაზარ ჩეპურნინმ 0.075 ქულით გაუსწრო. 11.325 ქულით ლევან სხილაძე მეშვიდე ადგილს დასჯერდა. ბიძინა მეორე იყო ღერძზე ვარჯიშშიც (12.200 ქულა). 12.400 ქულით ოქრო ილია კოვტუნს (უკრაინა) ხვდა. სხილაძემ მე-5 ადგილი (11.200) დაიკავა. დანარჩენ სამ სახეობაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: **ხტომები**. 1. ილალ ბიულბიული (თურქეთი, 12.500), 2. ილია კოვტუნი (უკრაინა, 12.015), 3. ბიძინა სიჭინავა (11.975), 5. ლევან სხილაძე (11.025). **ორძელი**. 1. კოვტუნი (12.900), 2. ჩეპურნი (12.350), 3. სიჭინავა (12.100), 5. სხილაძე (11.375), **თავისუფალ ვარჯიში**. 1. კოვტუნი (13.250), 2. ჩეპურნი (13.125), 3. სიჭინავა (12.925), 6. სხილაძე (11.225).

გოგონებში მარიამ ფერაძე 41.250 ქულით **მრავალჭიდში** მე-4 იყო, **დვირზე** ვარჯიშში (11.200) კი მესამე ადგილი ხვდა. ფერაძე, სიჭინავა და სხილაძე წლეულს ზაფხულს უნგრეთში ევროპის ახლგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალში იასპარეზებენ.

სტელა ზახაროვას თასზე უფროსებში ჩვენგან მხოლოდ საბა აბესაძე გამოდიოდა. მრავალჭიდში 68.600 ქულით მე-11 ადგილზე აღმოჩნდა. **ხტომებში** 12.638 ქულით მეოთხე ადგილზე გავიდა, რგოლებზე (12.100) მეხუთე, **თავისუფალ ვარჯიშში** (11.375) მერვე, ხოლო **ტაიჭსა** (10.950) და **ორძელზე** (11.450) მეშვიდე ადგილები დაიკავა.

ლაშა დიდია

◎ ჭადრაკი

რვა ქართველის მონაწილეობით

რიგაში დაიწყო მოჭადრაკე ქალთა ევროპის 2017 წლის ინდივიდუალური ჩემპიონატი, შეჯიბრებაში 32 ქვეყნის 146 წარმომადგენელი მონაწილეობს, მათ შორის რვა დიდოსტატი საქართველოს წარმომადგენელია. ესენი არიან: ნანა ძაგნიძე (2528), ნინო ბაციაშვილი (2496), ლელა ჯავახიშვილი (2456), ბელა ხოტენაშვილი (2445), სალომე მელია (2400), მერი არაბიძე (2373), 18-წლამდელებში ევროპის ორგზის ჩემპიონი ნინო ხომერიკი (2308) და სოფიო გვეტაძე (2292). გამარჯვებულსა და პრიზიორებს შვეიცარიული სისტემით 11 ტური გამოავლენს.

ტურნირის რეიტინგფავორიტია მსოფლიოს ვიცეჩემპიონი ანა მუზიჩუკი (უკრაინა, 2581). მეორეა მისი და — მსოფლიოს ექსჩემპიონი მარია მუზიჩუკი (2546), მესამე საფეხურზეა ევროპის ორგზის ჩემპიონი კატერინა ლაგნო (რუსეთი, 2543).

გივი გაგუა

წაგებული არავინ დარჩენილა

ჩინეთის ქალაქ შენჩჟენში დამთავრდა ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა (საპრიზო ფონდი 30.000 დოლარი) ქალთა შორის მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონ ჰოუ იფანსა(ჩინეთი) და ელვისებურ ჭადრაკში მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ ვასილი ივანჩუკს (უკრაინა) შორის. მინიმატჩი ოთხი კლასიკური პარტიისაგან შედგბოდა. ივანჩუკმა ორი ორთაბრძოლა მოიგო, ამდენივე ყაიმით დაასრულა, 3:1 გაიმარჯვა და მთავარი პრიზი — 18 000 დოლარი ხვდა. იფანს 12 000 დოლარი ერგო.

მაია ეგაძე

◎ ჩოგბურთი

განახლებული რეიტინგით

წინა კვირის შედეგების გათვალისწინებით ჩოგბურთელ ქალ-ვაჟთა საერთაშორისო ასოციაციებმა განახლებული რეიტინგები გამოაქვეყნეს. გაუწყებთ ჩვენებურთა მაჩვენებლებს:

ქალები

ერთეულები. 221 (221). სოფიო შაფათავა (237 ქულა), 328 (328). ეკატერინე გორგოძე (124), 574 (505). მარიამ ბოლქვაძე (44), სოფიო ქვაცაბაია (35), 856 (852). ოქსანა კალაშნიკოვა (14), 1070 (1067). ანა შანიძე (7 ქულა).



წყვილები. 57 (57). ოქსანა კალაშნიკოვა (1395), 184 (181). სოფიო შაფათავა (344), 244 (246). ეკატერინე გორგოძე (234), 468 (467). სოფიო ქვაცაბაია 993), 624 (560). მარიამ ბოლქვაძე (53), 717 (717). თათია მიქაძე (37), 1089 (1094). ანა შანიძე (11), 1289 (1287). ლანა კენჭიაშვილი (3).

ვაჟები

ერთეულები. 57 (60). ნიკოლოზ ბასილაშვილი (809), 534 (537). ალექსანდრე მეტრეველი (62), 862 (862). გიორგი ცივაძე (18), 1761 (1757). ალექსანდრე ბაკში (1), შოთა მეფარიძე (1), ირაკლი მეტრეველი (1).

საქართველოს ჩოგბურთელ ვაჟთა ლიდერი ნიკოლოზ ბასილაშილი მაროკოში მარექეშის საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 482.060 დოლარი) ითამაშებს. დღეს პირველ წრეში 23 წლის ჩეხ ირჟი ვესელის (რეიტინგით 53-ე) შეხვდება. წარმატების შემთხვევაში მე-4 ნომრად განთესილ მიშა ზვერევს გაუწევს მეტოქეობას. გიორგი ცივაძე ყაზახეთში ჩიმკენტის 15.000-იან ტურნირში მოსინჯავს ძალებს. სტამბოლის 60.000-იან ტურნირში ასპარეზობს ეკატერინე გორგოძე, ხოლო მარიამ ბოლქვაძე შარმ ელ შეიხის 15.000-იან ტურნირში მე-7 ნომრადაა განთესილი.

ლექსო ცინცაძე

◎ რაგბი

„აია“ ლიდერობას ინარჩუნებს

მორაგბეთა საქართველოს ჩემპიონატში დიდი 10-იანის მე-17 ტურის ცენტრალური მატჩი გორში გაიმართა: **„ჯიქმა“** თბილისის **„ლელო სარასენსს“** უმასპინძლა. პაექრობა დაძაბული და საინტერესო გამოდგა. თავიდან ინიციატივას სტუმრები ფლობდნენ. მალევე მათ ჯარიმის უფლება მოიპოვეს და ყიასაშვილმაც მიზანს უწია. **„ჯიქი“** 33-ე წუთზე დაწინაურდა: გორელებმა თბილისელთა 22-ში დანიშნული შერკინება მოიგეს, კიკნაძემ გრძელი გადაცემით ბიწაძე მოძებნა და მანაც ლელო გაიტანა, ხოლო ხარაზიშვილმა რთული პოზიციიდან გარდასახა. პირველი ტაიმიც ასე დასრულდა - 7:3.

შესვენების შემდეგ „ლელო სარასენსი“ გააქტიურდა, „ჯიქი“ ხშირად ჯარიმდებოდა და ერთ-ერთი ზუსტად გამოიყენა ყიასაშვილმა — 7:6. ამის შემდეგ მატჩი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. მეტოქეებმა თითო ლელო გაცვალეს ზუსტი გარდასახვებით. საფინალო სასტვენამდე ცოტა ხნით ადრე გორელებმა ერთი ჯარიმაც გაიტანეს და საბოლოოდ 17:13 გაიმარჯვეს.

დიდი სხვაობებით დასრულდა დანარჩენი ორი შეხვედრა: ქუთაისში **„აიამ“** თბილისის **„აკადემიას“** 35:5 სძლია, ხოლო **„ბათუმმა“** ქუთაისის **„ბაგრატს“** 64:14 მოუგო. ორივე გამარჯვებულს საპრემიო ქულები ერგო.

ამჟამად სატურნირო მდგომარეობა ასეთია: „აია“ (ქუთაისი) — 58 (+127) ქულა, „ჯიქი“ (გორი) — 56 (+164), ბათუმი — 54 (+169), „ლელო სარასენსი“ — 53 (+87), „ლოკომოტივი“ — 51 (+106), „აკადემია —2 (+17), „არმია“ — 37 (-45), „არმაზი“ (-128), „ბაგრატი“ (ქუთაისი) — 18 (-297), „ყოჩები“ (ბოლნისი) — 14 (-200).

თამაზ პატარიძე

◎ ძიუდო

თითო „ოქრო“ და „ბრინჯაო“

საძართველოს „ძიუდოისტ გოგონათა ნაკრებმა“ წარმატებით იასპარეზა ჩეხურ ტეპლიცეში „ევროპის თასზე“. ჩვენებმა 2 მედალი (თითო „ოქრო“ და „ბრინჯაო“) მოიპოვეს, რითაც გოგონებს შორის გუნდურ ჩათვლაში მეხუთე ადგილი დაიკავეს. პირად პირველობაში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა მარიამ ჭანტურია (63), ხოლო მძიმეწონოსანი სოფიო სომხიშვილი მესამე ადგილით დაკმაყოფილდა.

თანატოლებში ევროპის მესამე პრიზიორი ჭანტურია წლეულს ანტალიაშიც კარგად გამოვიდა, თუმცა, მაშინ ბრინჯაო მოიპოვა, ახლა კი გაცილებით უკეთესი შედეგი აჩვენა: ხუთიდან სამი შეხვედრა იპონით მოიგო. ტეპლიცეში მან ზედიზედ აჯობა გერმანელ მარაიკე რედიგს, უკრაინელ კარინა სარქისიანს, ბრიტანელ ემილი კოპერს. ქართველმა ძიუდოისტმა ნახევარფინალში იპონით დაჯაბნა ლუქსემბურგელი ანეტა მოსრი, ხოლო გადამწყვეტ პაექრობაში გერმანელ ანაბელ ვინზიგთან გასამარჯვებლად ვაზარიც ეყო.

ახალგაზრდებში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა სომხიშვილმა ტეპლიცეში შარშან მესამე ადგილი დაიკავა. ამჯერადაც ბრინჯაოს მედალს დასჯერდა: პირველ ორ შეხვედრაში მან უნგრელ ჟილვია ფარკაშსა და ესპანელ სარა კამპილო ფერნანდესსაც ჯერ ორ-ორი ვაზარი აართვა, შემდეგ იპონებით დაასრულა ორთაბრძოლები. ნახევარფინალში თურქ მინე კალენდერთან შეხვედრას ორი გაფრთხილებით იგებდა. გონგამდე 4 წამით ადრე ზედმეტად იაქტიურა, კონტრილეთზე მოჰ ყვა და მეტოქეს ვაზარი აჩუქა. მესამე ადგილისთვის პაექრობაში უნგრელი პეტრა ფარაგო დაჯაბნა.

ტეპლიცეში სალომე ბლიაძე (48), მარიამ გულედანი (ორივე — 48), მარიამ გურგულიანი, ეკატერინე ტატუნაშვილი (ორივე — 52), თინათინ რევაზიშვილი (57), ინდირა სილაგაძე (63) და სალომე მაყიშვილიც ((70) გამოდიოდნენ, მაგრამ საპრიზო ადგილებს ვერ შეწვდნენ.

ნანა დოლიძე

სოფიო სომხიშვილი, მწვრთნელი კახა მოცრაძე და მარიამ ჭანტურია.

◎ კალათბურთი

ფაჩულია — ისევ მოწოდების სიმაღლეზე



ნბა-ს რეგულარულ ჩემპიონატში პირველობაგანაღდებულმა და ნებისმიერ მეტოქესთან მოედნის უპირატესობის დამბევებელმა „გოლდენ სტეიტმა“ პლეი ოფის დაწყებამდე ბოლოსწინა მატჩი გამართა შინ „იუტასთან“ და 99:105 დამარცხდა. იუტელებმა სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესეს, „გოლდენ სტეიტს“ კი ამ წაგებით არაფერი დაუკარგავს.

ტრადიციულად, მასპინძელთა სასტარტო ხუთეულში იყო და მისთვის საშუალოდ გამოყოფილ დროზე მეტ ხანს ითამაშა ზაზა ფაჩულიამ. ოკლენდელთა ქართველმა ცენტრმა 25 წუთში 8 ქულა, 6 მოხსნა, 3 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. ზაზამ 4-დან 3 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო, 3-ჯერ დაჯარიმდა და ბურთი 4-ჯერ დაკარგა, რაც მიმდინარე სეზონში პირველად მოხდა. „გოლდენ სტეიტში“ 28 ქულით საუკეთესო იყო სტეფ კარი. უმოტივაციო ოკლენდელებმა კლეი ტომპსონი დაასვენეს და ტრავმამოშუშებულ კევინ დიურანტს ფორმაში შესასვლელად ასპარეზი დაუთმეს, „გოლდენ სტეიტის“ ხელმძღვანელობა კმაყოფილი დარჩა მისი მორიგი ორმაგი დუბლით. 40-დღიანი უქმობის შემდეგ ოკლენდელთა სუპერვარსკვლავი მოედანზე 2 დღის წინ ორმაგი დუბლით დაბრუნდა და „იუტასთანაც“ იგივე გაიმეორა: დიურანტმა 33 წუთში 16 ქულა, 10 მოხსნა და 6 პასი მიითვალა.

66 მოგებითა და 15 მარცხით „გოლდენ სტეიტი“ პირველ ადგილზეა და ასე დარჩება 13 აპრილის რეგულარული ჩემპიონატის ბოლო, 82-ე მატჩის შემდეგაც. ოკლენდს „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“ ესტუმრება და ეს იქნება მორიგი სარეპეტიციო მატჩი პლეი ოფის წინ.

გურამ ხმალაძე

ს.ს.ი.პ - გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi2015@gmail.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით. ბ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით. გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ლიხაურის მიმდებარე ტერიტორია, მდ. აჭისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა (ორივე უბანზე ერთად).- 33 900 მ³
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ლიხაურის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	5 160 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	516 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	2 780 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 13 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 12 მაისს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 12 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 12 მაისს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	3 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი № 2		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2 43 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi2015@gmail.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით. ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია მოპოვებითი სამუშაოების წარმოების დროს განახორციელოს მდინარის კალაპოტის დეფორმაციაზე პერმანენტული მონიტორინგი, ასევე ინერტული მასალის ამოღება აუცილებლად გაანაწილოს ორ წლიან ვადაზე. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები. დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ხელი არ შეუშალოს პოტენციურ ინვესტორს „ზესტაფონი 1" ჰესის არეალში, ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევებისა და მშენებლობის პერიოდში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად; ე) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ზ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქალაქ ზესტაფონის ტერიტორია, მდ. ყვირილას ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 33 600 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქალაქ ზესტაფონის ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	5 462 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	546,2 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	2 931 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 13 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 12 მაისს დღის 18:00 საათზე
